



შ ი ნ ა ო რ ს ი

ქუჩისა „ჭეჭილისა“

I	სურათი. ეგზემენების მოლოდინში	258
II	გაზაფხული, ლექსი დ. თუზდესშირქელისა	259
III	პატიოსანი შვილი, ნემეცურიდან გ. მ—სა	260
IV	ბებია მართა უმურაბოთ დარჩა. ნამდვილი ამბავი.	262
V	ბამბა (ბიკოვიდან). თარგმანი კუდრატისა	264
VI	ერთი საათის გულისთვის. ფრანგულიდან. ან. ავად- შეიფისა.	266
VII	„შარახვეტია“ ლექსი ვ. რუხაძესა	273
VIII	მარწყვის დიდება. ზღაპარი (დასასრული) ვანო სასათაშეიფისა	274
IX	წვრილმანი: გამოცანა, შარადა, გასართობი, რე- ბუსი და ახსნა.	279
X	წყარო. ლექსი ჯადო გეგეჭკარისა	281
XI	გმირი-მოლაღატე. ისტორიული ამბავი (შატაშენკოსა).	282
XII	პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ვე- ლურების ყოფა-ცხოვრება. ლუნკევიჩისა (გადმო- კეთებული) იტა ნაკაშიძისა	289
XIII	მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავ- რის დღიურიდან—ი. ალხაზაშვილისა.	296
XIV	მზისკენ. ვ. სასათაშეიფისა	304
XV	არჩილ ჯორჯაძე	307
XVI	დედა და შვილი (არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას) ჯა- დო გეგეჭკარისა	308
XVII	ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ელისონი). შემდეგი	309
XVIII	სხვა და სხვა ამბები	316
XIX	გამოცანები, აკროსტიხი, მოსწრებული სიტყვა და სხვ.	319

ჭეჭილის 1913 წლის ხელის მომწერლებს

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებულნი წიგნი.

რეანი გამომცემი



კვამყენების მოლოდინში.

გ ა ზ ა ფ ნ უ ლ ი



გაზაფხულს კი ვენაცვალე,
საქართველოს გაზაფხულსა,
მის გარეუბრას მოღაუღაუეს,
მზის სხივებით მოქარკულსა.

* *

ვენაცვალე ტოროლასა,
ცის წიაღში მომფრინავსა,
და ჩეროში ჩასაფრებულსა
მგოსან ბუღბუღს, მომსტვინავსა.

* *

კოსტა უელი გადუკოცნე
ვარდიასა და სუბუღსა,
სასოებით ვეზიარე
მთების ნამცვრევ ნაკადულსა.

* *

ვენაცვალე, ვენაცვალე
საქართველოს გაზაფხულსა,
მხოლოთ იგი მითავაზებს
ნეტარების თაიგულსა.

დ. თურდოსპირელი.



პატროსანი შვილი



ამოდენიძე ჯარის უფროსი მავი-
დას შემოსხდომოდენ და საერთო
სადილობდენ. ესენი თან ტკბილ,
საამურ ლაპარაკში იუვენ გართულ-
ნი. ერთმა მათგანმა საუცხოვო ოქროს სათუთუნე
ამოიღო და თავ მოწონებით აჩვენა ეველას. რამდე-
ნიძე ხანის შემდეგ ამ ჯარის უფროსმა მოისურვა
თუთუნის მოწევა, ჩაიღო ჯიბეში სული, მაგრამ თუცა
ეველა ჯიბეები გაიხინჯა, სათუთუნე აღარა ჰქონდა,
ვერსად ვერ ნახა. მაშინ განრისხებულმა წამოიძახა:
„ვინ ამართვა ჩემი სათუთუნე? აბა, ჯიბეები გაიხინ-
ჯეთ, მეგობრებო, იქნება თქვენგანმა ვინმემ უცაბე-
დათ ჯიბეში ჩაიღო!

ეველანი გაცხებულნი წამოხტენ და ჯიბეები
ამოიბრუნეს. სათუთუნე არსად არ აღმოჩნდა. მხოლოთ
ერთი უძცროს ამხანაგთაგანი დიდათ აღელვებული
ადგილიდან არ დაიძრა და წამოიძახა:

— მე არ შემიძლიან ჯიბეების ჩვენება. გამლევთ
პატროსან სიტყვას, გარწმუნებთ, რომ სათუთუნე მე
არა მაქვს.

ეველანი შეწუხებულნი წავიდნამოვიდენ დარ-

წმუნებულნი, რომ ქურდი სწორეთ ის იყო, რომელს
მაც ჯიბეები არ უჩვენა.

მეორე დღეს უფროსმა ჯარის კაცმა, სათუთუნეს
ზატროსმა, მოისძო ის მხედარი, რომელსედაც ვეუ-
ლამ ეჭვი აიღეს და უთხრა:

— ძვირფასო ამხანაგო! ნუ შეწუხდები, სათუთუ-
ნე ვიპოვე, ჯიბე გასეული მქონია. სათუთუნე სარ-
ჩულის და ზირის შუა ჩავარდნილიყო. მაგრამ ერთი
მითხარით გულახდილათ, რატომ არ გვიჩვენე ჯი-
ბეები ისე, როგორც სხვებმა?

— ჩემო უფროსო, სოლო თქვენს მეტს არაზის ვე-
ტყვი. ჩემი მშობლები ძალიან ღარიბები არიან. ჩემ
ჯამაგირს თითქმის სულ მაგათ ვაძლევ, მაინც ისეთი
დიდი ოჯახი გვაქვს, რომ სძირათ საჭმელი არა
აქვთ. მე კი, ჩვენ საერთო სადილობის დროს, ჩემი
წილი სადილი იმათთვის ჯიბეში ჩავიდუ. ჯიბე რომ
ამომებრუნებინა ძესვები და ჰური გამოჩნდებოდა. ამი-
სი კი ძალიან მრცხვენოდა.

უფროსმა ჯარის კაცმა თანაგრძნობით შესედა მას.

მერე, ეველა, იმ სადილზე დამსწრე, მიიზატია და
გამოაცხადა—სათუთუნე ვიპოვეო და ბოდში მოი-
ხადა, რომ ეველა შეაწუსა.

გ. მ—ისა.

(ნემეცურადან).



ბებია მართა უძურაბოთ დარჩა.

(ნამდვილი ამბავი).



ებია მართა ძალიან გაჯანჯრებულია: ეს მერე წელიწადია, რაც მემიჯნავე შესობელმა მის ფანჯრის წინ ძალადი კედელი ააშენა. მერე კიდევ ბელურებმა ამ ბოლოს დროს სიცოცხლე ჩაუმწარეს.

ეს აუვანილი კედელი ისე საძაგლათ იყო აშენებული, რომ შიგ ბელურებმა მოიკალათეს, ბუდეები კაიკეთეს! მართა შიშით ვერ გამოჭყუნდა აივანზე მატელს, სტაცამდენ და ბუდეში ჩასაფენათ ძიარბეინებდენ.

მართა ბოლოს კი ისე შეეჩვია ამ ბელურებს, რომ მთელი სამთარი ჰკვებამდა მათ. უოველ დღე გამოჭქონდა მათთვის ჰურის ნამცეცები და ბელურებს აღარ სჭირდებოდათ შორს სადმე წასვლა.

— დედაკაცო, ეტეოდა მართას მოხუცებული ქმარი—ნუ აჩვევ მავათ მუქთახორობას.

ბებია მართას უხაროდა კიდევ, როდესაც შესცქეროდა თავის გამოკვებულ ბელურებს, მათ მოხიტებულ ბარტეებს. მაგრამ, როდესაც გასაფხულზე ესენი დაე-


ხვიენ მის ალუბლის (ქვიშნის) ხეს და არც ერთი ვვაგილი არ შეაჩინეს, მაშინ კი განრისხდა, საფთხულიც გაუკეთა. ბელურები კი თითქოს დასცინოდენ, მისი ჯოხის მოქნევასე ერთ წამს შეფრინდებოდენ კედლის ფუღურებში და ზურგს შეუქცევდა თუ არა ბებია მართა, ისევე დაესვევოდენ ხეს. სწუხდა მართა, წელს უმურაბოთ დავრჩებო!

— ბები, ბები, უფვიროდენ მეზობლის ბავშვები, — გამოესალმე შენ ალუბალს მურაბას ველარ მიერთმე!


ბებია მართა კვლავ ჯავრობდა.

— აგ უმაღურები, მთელი სამთარი ვკვებამდი და ახლა ცალიერზე დამსვეს. მარცვალი აღარ შემარჩინეს, ძავ სამაკლებმა!

ტახოსი.



ბამბა.



ელა ბამბის საბანსა ჭკუ-
რავდა. ჰატარა ჰელიკო
გულმოდგინეთ შველოდა
დედას. თან ბამბას ასწო-
რებდა და თან ასუფთავებ-
და. აი ბამბაში რაღაც ჰა-
ტარა კურკა დაინახა.

— ეს რაღა არის, დედა,
თითქო კურკასა ჭკავს.

— ეკ, შვილო, ბამბის
თესლია, იმ მცენარისა,

რომლიდანაც აი ეს ბამბა მოკრიფეს.

— ეს კურკა, რომ დავთესო, დედილო, ბამბა
ამოვა?

— რასაკვირველია ამოვა, მხოლოთ ძალიან თბი-
ლათ უნდა შეინახო და სულ მზეზე უნდა იუოს სოლმე.

ჰელიკომ შეინახა თესლი და როცა მუშაობა გა-
ათავა სამხარეულოსაკენ გაექანა. იქიდან ძველი სის-
უთი გამოიტანა, მერე ბოსტანში გადავიდა, უთი მი-
წით აავსო და შიგ ის ბამბის თესლი დათესა. რო-
გორც კი მზე ფანჯარას მოადგებოდა, ჰელიკო მა-
შინვე უთს მზეზე დადგამდა სოლმე. თესლი ძალე
ამოვიდა და გასაფხულმაც რა მოატანა უფრო კარ-

გა დაიწყო ზრდა. ფოთლები თითქო ერთი ერთმანეთს ეჯობებოდნენ. თიბათვეში მცენარე ჰირისფერი ვევაილებითი აუვადა.

— დედილო, ბამბა სადღაა? ჰკითხა ზატარა ზელიკომ—შენ არა თქვი, რომ ბამბის მცენარე ბუჩქათ იზრდება, ეს კი ბალახისავე ამოვიდა.

— არა, შვილო, ეს ბამბაა, მხოლოდ ეს იმნარი ბამბაა, რომელიც ბალახისვე იზრდება და ამისთანა ბამბას ეოველ წლივ დათესა მოუნდება. მე კურკაზე ვერ გავარჩიე. ბამბა კი სულ ერთია, ერთნაირი მოდის. მოდი, ზელიკო, და ეს ჩვენი ბამბა ბიძისთან წავიდეთ, რომ სხვა მცენარეებთან ერთად თბილათ შეინახოს, თორემ მე შეშინა, ვაი თუ ჩვენსა საკმაოთ არა თბილოდეს და ბამბა გახმეს, იმ ქვეყნებში, სადაც ბამბა მოჭევათ გაცილებით ჩვენზე უფრო ხანგრძლივი და ცხელი საფსული იცის.

ზელიკომ მცენარე ბიძისთან გადაიტანა და ხშირ-ხშირათ დადიოდა ხოლმე სანახავათ. ძაღვ ზოგიერთ ვევაილს ფურცლები დასცვინდა და კუნძ-კუნძათ, თეთრათ ბამბა გამოჩნდა, შიგნით წვრილ ღეროებსე კურკები ჰქონდათ, რომლებიც ძაღვ გახმენ. ზელიკომ მოწუვიტა ბამბა და ეუთში შეინახა.

— ესლა კი ვიცი საიდან და როგორ იზრდება ბამბა, ამბობდა ზელიკო.

დედაი უამბო, რომ ბამბას ართავენ ძაფათ და ამ ძაფიდან ქსოვენ—ბამბეულობას, მიტკალს, ჩითს და სხვას.

(ბაკოვიდან).

კულრაჭა.

ერთი საათის გულისათვის

ფრანგულიდან.



ერ ისევ რიჟრაჟი იყო, ფერმაში კი დიდი-ჭრიამული იდგა. გაუთენებელივ აძღვარეო ბატონი ჟაკი, გაეღო ეველას კარებები, ეტლს ეზოსკენ მოაგორებდა და მალალი, მკაფიო ხმით ეველას სამუშაოთ უძახოდა:

— აბა, ადექით! დღეს ვიღნევი ბაზრობაა! აბა, ჰეტრე, მხათა ხარ? ამ ეტლსე ორი კალათა უურმენი დაუდე და ერთი კალათა ატამი. ვნახოთ ერთი ეს მშვენიერი ხილი, როგორ გასაღდება. ამას შენ გაბარებ გასასყიდათ, ჰეტრე. მარინეტა თავის ქათმებსა და ისეებს წაასხავს, მე კი საქონელს წამოგრეკავ.

ჰეტრე წამოხტა, ეზოში ჰირი დაიბანა, კოხტა ხალათი ჩაიცვა, მოწითანო თმებზედ ქუდი წამოიხურა და ცხენის შებმას და ეტლის დატვირთვას შეუდგა. მალე კხასაც გაუდგა, თან ფერმერის ცოლი და ჰატარა ჰოლეტა წაიყვანა. ჟაკმა კი ორი კაი ხარი წაირეკა ვიღნევის ესაბთან გასასყიდათ.

ეტლი მსიარულათ მიგორავდა ქვიანს გზასე, ჰეტრე ძღეროდა, ჰოლეტა მსიარულობდა და დიასახლისი კი წინდაწინვე მოგებას ანგარიშობდა: „ჟაკი კაი ფასათ გაჭედიხ ხარებს. მე ერთს ხუთმეტ ფრანკს ავიღებ ამ ქათმებსა და კვერცხებში, შენ კი, ჰეტრე“

ეგ ძმუნეილი უურძენი და ატამი იქნება ოცდა ათს ფრანკათაც გაჭვიდო.

— შეიძლება — სთქვა ჰეტრემ, — მეტადრე თუ „სახფრანკეთის სასტუმროს“ ჰატრონს „სადგურის სასტუმრომ“ ქიშობა გაუწიოს, მაშინ მეტსაც ავიღებთ.

— ჰო, შენ კაი ვაჭარი ხარ, ჰეტრე! აბა შენ იცი!

ფერძის მსახური ჰეტრე ობოლი იყო და ფერძაში დიდი ხანია მსახურებდა; ჯერ ნასირი ებარა, მერე კი სახლში მუშაობდა ჟაკის ხელმძღვანელობით და ფერძაში ამ ემაწვილს დიდი ნდობა ჰქონდა დამსახურებული.

ნახევარ საათში ვილნევიც გამოჩნდა, ჰეტრემ ჯაგლაგი ცხენი ააჩქარა. მიძავალი გლეხები სალამს აძლევდნენ მკსავრებს.

— გამარჯობა, მარინეტა! — გამარჯობა ჰატარა პოლეტა! რა კაი უურძენი მიგაქვს!

ესენი ერთ ჰატარა ქალს შეჭხვდნენ, მონძებში გახვეულებს. რამდენიმე თვის წინეთ ამას დედა მოუკვდა, მამაკი, ერთი უბედური ქვის-მტვრევი მუშა, ნაღვლისაგან დაბრძავდა. მუშაობა აღარ შეეძლო და საწყალი ჰატარა გოგო დადიოდა მოწულებების სათხოვნელათ და ეველა ხელს უძრთავდა.

-- დაიჭი, მარი, ერთი ატამი და ეს კროში, როცა ჩვენსკენ გაიარო, სთხოვე ბებიას ერთი ჯამი წვენი შენთვის და ცოტა ღვინო მამაშენისთვის.

ჰეტრემ მალე გაუიდა თავის სილი კაი ფასში. ოცდა თექვსმეტი ფრანკი ჩაიღო ჯიბეში და წასვლის

წინეთ ბაზარში გაისეირნა. ის ფეხით მარტო უნდა დაბრუნებულიყო, მისი უფროსები საღამოთი მოვიდოდნენ სახლში.

წელიწადში ერთხელ იმართებოდა ხოლმე ასეთი ბაზრობა და რა გინდა სულა და გულა, რომ იქ არ იყო. ეკელანაირი გასართობს და თვალის წარმტაცს აქა ნახავდით. სხვა და სხვანაირი სათამაშოები, ხის ცხენები, მიწანში სასროლი, ლატარიები.

ჰეტრე ხის ცხენსაც მოაჯდა, მიწანშიც ესროლა დასატულს მტრედებს, თავისი საკუთარი ფული მთლად დახარჯა. როცა ჯიბეში აღარა დარჩა რა, შინ დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ მისი უურადლება ერთმა გარემოებამ მიიზიდა, სადაც ერთ ფრანკით შეიძლება ბოდა კაცს მოეგო ჯაყვა დანა, ლაძაში სამაჯურის დილები და თვით მშვენიერი სპილენძის საათიცაქი.

ჰეტრემ გაიფიქრა: „ერთ ფრანკს დავხარჯავ! მოდი ვიტყვი—ურემენი ნაკლებათ გავეიდუ მეთქი... მართლაც, რას დაჰკარგავს ჩემი უფროსი, მე ძალიან კაი ფასში გავეიდუ, განა არ შემიძლიან ცოტათი მეც ვისარგებლო...“

ერთი ბილეთი აიღო, ბორბალი შემოატრიალეს, არავინ მოიგო.

„სუთი ბილეთი, რომ ერთად იყიდოთ, აუცილებლათ მოიგებთ იმ მშვენიერ საათს, ბატონებო! აიღეთ, გამომიძეტეთ ფული. აადეთ!“

ჰეტრემ გაუწოდა სუთი ფრანკი და ერთი საზოგადოებრივი მოიგო, რაში ეჭაჰმნიკებოდა ამისთანა მოგება. კიდევ მიაწოდა სუთი ფრანკი და საათი კი არა ჩნდა, ერთი

დანა მისცეს, სრულებით ის კი არა, რომელიც მოსწონდა. მეტე მოიგო ჯამბაზის ქუდი, ქალების შლახების ქინძისთავი. ხალხი ამ საჩუქრებზე იცინოდა და ჰეტრე კი საათის მოკების სურვილმა გაიტაცა, არ სოგავდა ფულებს. კიდევ მისცეს მოკებული ორ გროშად ღირებული ჰატარა სარკე და რაღაც წვრილმანი.

საწყაღმა მთლად დახარჯა სავაჭროში აღებული ფული. გადარეული წამოვიდა შინისაკენ კარგა გვიან, საქონლის ჭმევის დრო კიდევ გადასულიყო. კარებში ჰატარა მარიას შესვდა. ბების წვენი დაესხა საწყელისთვის, თითონ კარტოფილის ამოსაღებათ წასულიყო და გოგონასთვის დაევალებინა სახლს უური უგდყო.

„ნეტა რა მოუვიდა ჰეტრეს! ასე რად გაფითრებულია? გაიფიქრა ბავშმა.—ისე წამკრა ხელი, გამარჯვებაზე არც კი მიპასუხა“.

და გაკვირვებულმა მარიამ უნებურათ ცქერა დაიწყო სამხარეულოს ჰატარა ფანჯარაში: ჰეტრე დანახა ღია შკაფის წინ, რომელმაც სარეცხის ქვეშიდან გამოაძრო ერთი ხელსახოცი და შიგ გამოკრული ოქროს ფულები ამოიღო. ოქრო შალვრის ჯიბეში ჩაიყარა, ხელსახოცი ბლუსის ჯიბეში ჩაიღო და კარებისაკენ გასწია.

მარიას შეეშინდა, ხალის კონის უკან მიიმაღა და ასე დიდ ხანს დარჩა გაუნძრევლათ.

ჰეტრე კი მახლობელი ტუისკენ მიმავალს ბილიკს დაადგა, ღელე გადირბინა და შემთხვევით ჰატარა მარის ქოხის წინ გაჩნდა. ხის სკამზე ჩამოძვდარიყო საწყალი ბრმა, იქვე წამოწოლილიყო მათი

ერთგული ძაღლი. ჰეტრე შედგა, გაფითრდა შიში-საგან: ტყეში სმაურობა შემოესმა, აშკარათ გაარჩია თავისი უფროსი ქაკი და ზოლიციელი. ქაკი ჰირდაჰარ ტყესე წამოსულიყო გზის შესამოკლებლათ. მაშინ გაფითრებულმა ჰეტრემ ამოიღო ორი ოქრო და ეუთში ჩაყარა, რომელიც იქვე ძაღლთან იდგა.

— საით მიხვალ, ჰეტრე? რა ამბავია, რა მოხდა? ჰკითხა ქაკმა.

— ბატონო, თქვენ გეძებდით, შინ მოვიტანე გაყიდული ხილის ფული... სახლის კარი ღია დამხვდა, ბებია ბოსტანში წასულიყო და... შკაფი ეურამდის ღია იყო... ვიღაცა შესულა...

— ვაიბე, უეჭველია ჩემი სამოცი ფრანკი აღარ იქნება, წუსელის შეეინასე, საჩეცხში დავმაღე, თქვა მარანანეტამ, რომელიც ქაქანით მოუახლოვდა ამათ — იქით სომ არავის გაუვლია ჰატარა მარინას გარდა.

— ოჰ, ეს გლახები, უოველ-გვარ ავასაკობას ეგენი ჩადიან, თქვა ზოლიციელმა. — თქვენი ბრალი კია, ბატონო ქაკო, თქვენ მოწუალებით ექცევით ამ გლახებს. რამდენჯერ გაგაფრთხილეთ კიდევ. მაგრამ, აბა მოუძებნოთ ჰატარა ქურდი! აქ იქნება უეჭველია.

საწუალი ბრმა ისევ თავის სკამზედ იჯდა. ზოლიციელმა მისკენ გასწია.

— შენი გოგო სად არის?

— ჯერ არ დაბრუნებულა. ჩემთვის ცოტა მოწუალების სათხოვრათ წავიდა.

— თუ მოსაზრათ? აბა ვაჟნრიკოთ, გოგო აქ იმალება სადმე ალბათ, ან ფული ექნებათ დამალული.

საწყაღს ბრძანს არა ესმოდა რა, ჯავრისაგან კანკალმა აიტანა თავის შვილის შეურაცყოფას რომ ისმენდა. უნდა ეზასუხა, გაეჩუმებინა შეურაცხყოფილები, მაგრამ ვერას ახერხებდა, რადგან ადგილიდან ვერ დამრულიყო. ქვითინი წასკდა, ამ უძწეობაში ისღა მოახერხა, რომ მარის დაუძახა.

— აქ ვარ, მამავ, შორიდან მოესმა ბავშვის ხმა.

— აი ოცი ფრანკი, ვიზოვე ამ უთში! დაიძახა ჟაკმა, — აი კიდევ ოციც!..

გოგო რომ გამოჩნდა, ეველანი მას მისცვივდენ.

— ქურდო!

— მე?

— ვინ მოგცა ეს ოქროები? დანარჩენი რაღა უყავ?

— გევედრებით შემიბრალეთ, მე არ მომიზარავს.

— აბა, ცინეში წამო!

— გეფიცებით, მე არ მომიზარავს!

— ცინეში მეთქი!

— მამავ, მიშველე!

— კმარა, წავიდეთ!

ბავშვის ხელში აუვანა მოუნდათ, გული წაუვიდა, საბრალოს.

საწყაღი ბრძანს გაჰყვა მიძავალთ, ერთგული ძალი არ შორდებოდა მათ, ეველა ქალაქისაკენ მიდიოდა. გზაში სხვა მგზავრები მიხეხს რო იკებდენ, თან მისდევდენ, ეველა საწყაღს ბავშვსე ჯავრობდა.

როცა მსაჯულთან ძარი გამოერკვა, ჰეტრე დაინახა, კუთხეში იმალებოდა.

„ჰეტრე... ძარიანეტას ფულები... ფულები ლურჯს ხელსახოცში იყო გამოკრული“...

— აბა ეს ემაწვილი გაჩხრიკეთ, ბრძანა მსაჯულმა.

ქანდარში ჰეტრეს მიუხსლოვდა.

— ოცი ფრანკი აქვს, ბანო მსაჯულო, ჯიბეში.

— ეს ხილში აღებული ფულია.

— შენ აკი მეწინაქვილე ლუის უთხარი გზაში, ოცდა თხუთმეტს ფრანკათ გავედიო, შენიშნა ჟაკმა.

— ეს ლურჯი ხელსახოცი?

საქმე გამოამკარავდა. ჰეტრემ, ქვითინით აღიარა თავის დანაშაული. ერთმა სპილენძის საათის შეძენის სურვილმა, როგორ ჩააგდო ამ უბედურებაში. ფულის ჰოვნით გასარებულმა ჟაკმა კული მოიბრუნა და ჰეტრე ისევ ფერმაში წაიუვანა. თან ფიცულობდა, თავის დღეში იმდენ ფულს იმას აღარ მივცემ, რომ თვალი რაშემ ან წაართვასო.


ძარიანეტამ და ჰოლეეტამ ძარი თან წაიუვანეს და ჩააბარეს ნახირი. მისი ბრმა მამა კი, სამხარეულაში შველოდა მწვანელი გარჩევას; ჰეტრე შვილისავეთ უვლიდა მოხუცს ბრმას და ცდილობდა ამით მანც დაევიწეებინა თავისი შეცოდება.

არ. ჯავალი შვილი.



„შარასვეტია“

(ძღვანთ თამრიკოს)



ელქია, ცელქი თამრიკოს,
ველარ ისვენებს წამითა,
დღით მეხობლებში
დასტუნავს,


სასლში ბრუნდება ღამითა.

რასაც უურს მოჭკრავს, გაციებს,
საწუსს, თუ სასაცილოსა,
საღამოს ძიუჭიკჭიკებს
თავის დედიკო ნინოსა.

როცა სასლშია — ტიტინებს,
ჭებენს და აწუსებს ეუელასა:
უფროს ძმას „დადოს“ ეძახის,
და უძცროსს — „კუდამელასა“...

ხან იმას სცინის, ხან ამას,
მოუსვენარი, ცეტია,
და მეტ სასელათ ამიტომ
დაარქვეს: „შარასვეტია!“

ვ. რუხაძე.



მარწევის დიდება!

(დასასრული).



აწიბმა ოჯახმა ისევ ძდიდრუღათ
იწყო ცსოვრება, ფუღს უბრალთ
აღარ ფღანგავდენ, არამედ ცდო-
ღობდენ უაირათი გაეწით... მაგ-
რამ ევეღაფურს ბოღო აქეს, — გა-
ღათაში გამოიღია ოქროს მარც-
ვღები.

„ჯერ კიდევ გავიტანთ თავს! —
ფიქრობდენ ნანოს მშობღები, — შვილ-
მა იცის ესღა, სად და როდის იპო-
ვოს დიდღა, რომელიც რაღა თქმა უნღა, უსათუოთ
დასასწიქრებს!..

როდესაც კაღათიღან უკანასკნელი ოქროს მარ-
ცვღალი ამოიღეს, მამამ უთხრა ნანოს:

— მეტი გზა არ არის, — გაიქეცი შენ მარწევის
დადღასთან და სთხოვე დაგვესმაროს!.. თორემ სომ
იცი...

დეემუქრა მამა ნანოს და თან ფესები დაუბრახუნა.
დაღონებული და ცრემღებ მორეული, გაემკსავ-
რა ნანო ტეემი. მას ესღა აღონებღა და თან რცხვე-
ნოღა კეთიღ დეღაბრის შესვეღრა და გაღასწევიტა
ევეღაფერი სიძარტლე გაემსიღა მისთვის.



როდესაც ნანო შევიდა ტყეში და გორაკისკენ აიხედა, შავი ღრუბლები დაცურავდნენ ცაში; ცივი ქარი ჭქროდა, ირგვლივ კი რაღაც საშიში სახანძარობა მოეჩვენა. მაგრამ მერე ნანო საშინლათ გამხიარულდა, როდესაც დაინახა მარწევის დიდება ქმინვით და ოსურით მოძავალი მისკენ.

— შენ, აქა ხარ? — ჰკითხა დედაბერმა — ძალიან კარგი; შენ სწორეთ დროზე მოხვედი. დღეისთვის ბევრი სამუშაო გექნება, რადგანაც მე სრულებით ძალა გამოლეული ვარ და დღეს ვერ ვიმუშავებ.

— ო, მე დიდი სიამოვნებით გიმშველით თქვენ! — მხიარულათ წამოიფვირა ნანომ. — ესლავე შეუდგები მარწევის კრეფას!

— კარგი, კარგი, ჩემო გოგონავ! მაშ მე დავუდები და დავისვენებ.

ნანო მაშინათვე შეუდგა საქმეს და ისე გაერთო, რომ ვერ გაიგო, დრომ როგორ გაიბრბინა. ბოლოს დედაბერმა დაუძახა.

— კმარა, გოგონა! კალათი სამსესა!.. დღეს შენ კარგათ იმუშავე და ამიტომაც დაიმსახურე ჯილდო. აი შენ, შენი ჩვეულებრივი კალათა, — ისარგებლე ამითი და იეზ ბედნიერი!..

ნანოს უეცრივ გული აუჩუყდა, ცრემლები ვეღარ შეიძაგრა და მწარეთ მორთო ქვითინი.

— თქვენ ფოველთვის ისეთი კეთილი ხართ ჩემთვის, დიდებო! — თქვა ტირილით ნანომ.

— კარგს და კეთილ ადამიანს ფოველთვის და ვეველგან სიკეთე მოელის, უბასუსა დედაბერმა, — მით-

ხარი, რაზედ ტირი?.. მაგრამ, მე ვეველაფერი ვიცი, რაც ხდება თქვენ სახლში... მამ უური დაბიგდე: შენ ადრინდელივით ამ კალათაში იპოვნი ოქროს მარცვლებს, მაგრამ მხოლოდ იმ დრომდის, სანამ თქვენი განზრახვა კეთილ-გონიერი იქნება. ერიდეთ კალათის დაცარიელებას სისულელესათვის. გამოზომეთ უოველივე თქვენი სურვილი სამჯერ,—ღირს თუ არა იგი ოქროს მარცვლათ. აგრეთვე გახსომდეთ სხვისთვის უფრო მეტი იფიქრეთ, ვიდრე თქვენი თავისთვის, მშვიდობით!.. სამჯერ გიშველე მე შენ, მეოთხეთ კი შევლა აღარ შემიძლიან!—და ამ სიტყვებთან ერთათ მარწუვის დიდება გაქრა, თითქო დედამიწამ შთანთქაო, ნანო კი ღრმა ფიქრებით გართული გაეშურა სასჯისკენ.

— მხელი ჰირობა დაბიღო მარწუვის დიდებამ,— ფიქრობდა ნანო,— როგორ გავიგო, რომელი განზრახვა და სურვილია კეთილ-გონიერი, და რომელი არა?... აი, ამას, ნანოს, რაც უნდა დამართოდან, უნდა ეეიდნა ევითელი ფესთსაცმელები, როგორიც ჭქონდა მესობლის ქალს, მართას; მამა კი ოცნებობს შეიძინოს ორი სურათი ოქროს ჩარჩოებში: დედას კი სურდა ეეიდნა ახალი ყავის საფქვაავი. რომელი იყო ამ სასუიდლებიდან კეთილ-გონიერი, რომელი-არა?

მშობლები საგონებელში ჩავარდენ, როდესაც ნანომ გადასცა მარწუვის დიდებას სიტყვები. იმათ ძალიან არ იამათ ასეთი წინადადება და უკმაყოფილებით მხრებს იწევდენ. მაგრამ უფრო უაირბთით და დაფიქრებით მოჭვეენ ოქროს მარცვლების ხარჯვას.

ნანოს დედა უაინათსა სწევდა, ვერ ბედავდა ახალი ზურის უიღვას, ვიდრე ძველი ჭქონდათ სახლში. კაბებს საკერებელს-საკერებელზე აკერებდა, რომ ახალი არ ეყიდნა...

ნანოს ძამას სრულიათ გაუცვდა ფესთსაცმელები, მაგრამ მანც ვერ ბედავდა ამოეღო ოქროს მარცვალი ახლის სასუიდელათ.

— შეიძლება ესეც კეთილ-გონიერი სურვილი არ იყოს?—დაცინვით ამბობდა იგი,—ერთსელ ამოიღო კალათიდან მარცვალი და ღიმილით თქვა:

— ესეც ახალ ფესთსაცმელისთვის!

— ო, საკვირველებავ!—მის ხელში მარწვევის მარცვალი ოქროთ იქცა.

— ჭმ, სთქვა ნანოს დედა, —მეცა ვცდი, ძალიან გვჭირია თხა!.. და ამოიღო ორი თითით, ფრთხილათ ორი მარცვალი და ისინიც მის ხელში ოქროთ იქცენ.

— მე მინდა უვითელი ბაშმაკები!—შეჭევირა ნანომ და დაავლო ხელი მარწვევის ნაფოფს, მაგრამ მის ხელში მარწვევი ისევ მარწევით დარჩა.

ამან ძალიან დააღონა ნანო და მორთო ტირილი. ძამას შეეცოდა ნანო; ამოიღო კალათიდან მარწვევის ნაფოფი და თქვა:

— უვითელ ფესთსაცმელისთვის და ახალ კაბისთვის საწუალ ნანოს!.. და მაშინვე მხიარულათ შეჭევირა:

— ოჰო! მარწვევის დიდება მტკიცეთ ასრულებს თავის სიტევას... ჩემთვის რამე მეტი, რომ მომე-


სურვილები, — არაფერი არ მერგებოდა, — სხვისთვისაა — ნანოსთვის ამისრულდა სურვილი. ჩუ ტირი, სულელი, — ესლა შენ გეკნება ახალი ფეხთსაცმელებიც და კაბაც! მე ერთს კიდევ ვცდი. მესობელმა მთხოვა სასლის ასაშენებლათ ფიცრების ეიღვა მიშველეო. მე ვიღებ სამ მარცვალს ფიცრებისთვის!.. და მამონათვე მის ხელში გაჩნდა სამი ოქროს მარცვალი.

მას შემდეგ ღარიბ დურგლის ოჯახში გაჩაღდა ცხოვრება. ჯერ, ვიდრე გაბედავდენ რაძის ეიღვას, დიდხანს თათბირობდენ, — საჭირო იყო თუ არა მის ეიღვა და როდესაც დარწმუნდებოდენ, მაშინ იღებდენ კალათიდან მარწვივის მარცვალს. ეს მარცვლები სწრაფლ ოქროთ იქცეოდენ ხოლმე. ავრეთვე, როდესაც ივინი ფიქრობდენ სხვის დახმარებაზე, ეოველთვის ეძლეოდათ მათ საშუალება აესრულებინათ თავიანთი წადილი. ამიტომაც მათი ღარიბი მესობლები დიდი ჰატივისცემით და სიუვარულით ექცეოდენ.

მთელ იმ ხანში სანამ კალათაში ნაყოფი იყო, დურგლის ოჯახმა ისე მოაწყო თავისი საქმეები, რომ შემდეგისთვის უზრუნველათ ეცხოვრათ და როცა გამოიღია — არც მაშინ განიცდიდენ სიღარიბეს. მაშინ მესობლები შველოდენ. ტყუილათ კი არ არი ნათქვამი: ეველა ერთისთვის და ერთი ეველასთვის!..

(გადმოკეთებული).

ვანო საათაშვილი.





გ ა მ ო ც ა ნ ა .

((წარმოდგენილი ქეთო ზარაფიშვილისაგან))

არცა ვმკი და არც ვთესავ,
მადლარი ვარ უსრომლათ,
მიყვარს მე გაზაფხული,
მაშინ ვარ მხიარულათ.
ბინა მაქვს მინდორ ველად
და ვცხოვრობ ცაშიაცა,
დავეშვები ბალახზედ,
ყვავილებში ვნაფარდობ!
ვერვინ არის დამწევი
ფეხით ანუ რაშითა,
მაგრამ კი დამიჭერენ
პაწაწინა მარცვლითა.

შ ა რ ა დ ა .

((წარმოდგენილი გ. ლეონიძისაგან))

პირველი სიტყვა — სახლია,
შრომის მოყვარე მწერისა,
ისარი, რომელსაცა აქვს, —
მოსაგერებლათ მტერისა!
მეორე არის — საძღერი,
ხმა ნაზათ ამოძახილი;
ნოტა მესამე ხასზედა —
მთელი გამმისა ნაწილი!
რომ შეაერთო, გამოვა
საჯდომი, ყველგან დებული.
აბა, ჰა, გამოიციანი,
თუ ხარ, შენ, ბიჭი ქებულისი..

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

პატარა მოწაფე მივიდა რკინის გზის სადგურზე ბილეთის საყიდლოთ.

— რომელი კლასისა? გამოსძახა ბილეთების გამყიდველმა.

— მეორე წელიწადი დავრჩი პირველ კლასში, უბასუხა დაბნეულათ ყმაწვილმა.

— შლიკო, მოგწონს შენი სკოლა?


— მომწონს, მხოლოდ მასწავლებელი...

— განა მასწავლებელი რამეს გიშავებს?

— სულ კითხვებით მაბეზრებს თავს, მე კი არ ვიცი რა ვუბასუხო.

რ ე გ უ ს ი.

ღ ,



ფ



სძ



ი, უდ

ძნის შესაკრავი


ძველი პური რას იკიდებს?



გამოცანებისა: ყურძენი, კარები, ხელი და თითები.

ანაგრამა: თივა-თავი.

შარადა: იორი.



წყარო



თის აწყარა, ცელქი წყარო
სოფლის მდელის დაედინა,
თის აწყარა, ცელქმა წყარომ
გლეხის ყანას ჩაურბინა!
ჯეჯილს ირგვლივ შემოევლო,
შეარხია, შეასწორა:
შხეფი უხვათ შესთავაზა,
ქიახტა და ეამბორა!

ხან ერთ ყანას დაედინა,
ხან-კი სხვაზე გასრილოდა,
მისით მორწყულ ადგილებში
უფლის თვალი დატრიალოდა!

არე-მარე მზის სხივებით
შეიმოსა, აბრკეციალოდა,—
რომ ჯეჯილი აბიბინდა,
მით მტრის გულიც გატიალოდა!

აბა, ბიჭო, მოვემზადოთ,
გამოვილოთ მკაში ხელი;
მტერს დაუდგეს ბარემ თვალი,
დრო დაგვიდგა სანატრელი!

ვენაცვალე დიდ მზის სხივსა
მოციმციმეს და ბრკეციალას,
ვენაცვალე მთის ცელქ წყაროს,
წყაროს წმინდას და კრიალას!

ლალო გეგეჭკორი.

გ მ ი რ ი - მ ო ლ ა ლ ა ტ ე .

ისტორიული ამბავი

(პატანჯკასი).



პარტას დიდებული ღღეები დაუდგა. შვიდი ღღე და ღამე, ქუჩებში გაისმის ხალხის მხიარული კიყინა, ყვირილი. ყველანი აღტაცებულნი არიან უდიდესი გამარჯვებით. *) შვიდი ღღე და ღამეა, რაც მათი დიდებული სპარტას ღმერთა მფარველის ტაძარში ცეცხლი და ალი შეწირული ცხოველებისა არ გამქრალა. მოგვებს არასოდეს არ თაუღიათ ამოდენა ძვირფასი მსხვერპლი, არასოდეს არ ყოფილა ტაძარი ასე გავსილი შემოწირულებებით. ყოველ ღღე ტაძრისკენ მიმავალ ქალაქის ქუჩებზე დიდი, ხმაურობით, ჯგუფ-ჯგუფათ ხალხი მიდი-მოდიოდა. ამათ წინ მიუძღოდათ ხოლმე ხუთი ეფორო **) ორი მეფით, მორთულნი აღისფერი წამოსასხმით. ერთი მათგანი უდიდესი ღმერთის მოგვი იყო.

მოედნებზე და ბაზარში გაისმოდა გაცხარებული სჯაბასი. ყველას პირზე ეკერა ერთი სახელი, რომელსაც სასოებით და აღტაცებით იმეორებდნენ. ეს პავზანის სახელი იყო. ამ გმირმა შეუძლებელი შესაძლოთ გახადა. მან ორჯელ გაიმარჯვა სპარსელებზე, რომელთა მხეცური სიმამაცე და შეურყვეველი ძალა მთელ საბერძნეთს თავზარსა სცემდა. მათი მხარბეჭიანი, წამოსადეგი მეომარნი, მორთულნი აღმოსავლეთის ქრელ ტანისამოსში, მათი საარაკო ურიცხვი ჯარი, მათი უზარმაზარი სპილოები, რომლებსაც დიდი ხერხით ხმარობ-

*) ეს ამბავი მოხდა 477 წ. ქრისტეს დაბადებამდის.

**) ყოველ წლივ სპარტანელები ირჩევენ ხუთ ეფოროს თავიანთი საქმეების გასაგებათ.

დენ ომიანომის დროს — ყველა ეს შიშსა ჰგვრიდა ელლადს. ყველაფერი ეს მოისპო, შესწყდა ერთი, უდიდესი გმირის, პავზანის ხმლის მოღერებით. მთელ შორეულ ვიზანტიაში მფლობელობს ახლა ის, როგორც სამშობლოს წარმომადგენელი და სპარტის დიდება ეფინება კიდედან-კიდემდე მთელ ქვეყნებში. რა ნაირათ უნდა შურდეთ აფინელებს სპარტას ასეთნაირი გამარჯვება.

დღესასწაულობს სპარტა. არც ერთი სულიერი არ მოიპოვება ისეთი, რომ ამ დღეს აღტაცებაში არ იყოს! ხალხის საერთო მხიარულობაში ყველამ დაივიწყა საკუთარი ნაღველი, სპარტანელი ქალები კაცებთან ერთად მეიდნებზე ირეოდენ და მათთან ერთად სამშობლოს საქმეებზე სჯა-ბაასობდენ. სწორეთ სანახავათ ღირდა მოხუცებულნი და ყმაწვილები, როგორი პატივით უგდებდენ მათ ყურს. სპარტანელებმა იციან თავიანთი ცოლების, დედების და დების პატივისცემა! დედის კალთასთან მიკრული შვილები სასიხარულო ამბავს დიდი ყურადღებით უგდებდენ ყურს, დედის ძუძუსთან ერთათ. ითვისებდენ სამშობლოს სიყვარულს და იცოდენ გარჩევა სირცხვილი რა არის და დიდება.

ამ დღესასწაულში არ იღებდენ მონაწილეობას მხოლოდ დაბეჩავებულნი, ყველასაგან მოძულეებულნი გელოტები. ისინი ქალაქის შორეულ კუთხეებში იმალებოდენ, არ უნდოდათ სავიანთი ულამაზო, უმსგავსო, ბინძური შეხედულობით მოეწამლათ საერთო ლხინი. ამასთანავე მათ ეზიზღებოდათ სამშობლოს დიდება ისე, როგორც სამშობლოს თვით ისინი. მათ არა სთვლიდენ ადამიანებათ. ათასობით კედებოდენ სიმშლით, ან ტანჯვით იღუპებოდენ. ზოგჯერ უცაბედათ, ზოგჯერ კი დროს გასატარებლათ მოიგონებდენ მათ ეტლის ქვეშ გაქყლებტას.

სპარტანელი ჰკლავდა მათ უწყალოთ და ეს საცოდავები მარტო იმით უხდიდენ სამაგიეროს, რომ ეზიზღებოდათ თავიანთი მძლავრი მფლობელი.

დახეთ ერთი რა ამბავია იმ დიდ მოედანზე? შეძრწუნებული ხალხი ვილაც კაცს შემოხვევია და თითქოს რაღასაც ედავება. ეს კაცი მედიდური შეხედულობისაა. მალალი და წამოსადევია. მისი მაგარი ძარღვებიანი ტიტველი ხელები,

მისი მხარ-ბეჭი, მისი ვაჟკაცური შეხედულობა გვარწმუნებს, რომ იგი დახელოვნებული და გამოცდილი მეომარია. მისი გრძელი თეთრი წვერი გულ-მკერდს ნახევრათ ფარავდა. აბრე-შუმივით თეთრი თმების კულულები ამშვენებდნენ მის მხარ-ბეჭს. მოხუცებული თავის სკორნელოვან კიპაროსის ყავარჯენს აქნევდა ჰაერში და ხალხს ეუბნებოდა:

— ვისაც სიმათლის გაგება გინდათ, წამომყევით. იქ, იმ ტაძრის წინ, გამცნევთ თქვენ, მოქალაქენო, საზიზღარ საქციელს იმისას, ვინც შეამკეთ დაფნის გვირგვინით! წამომყევით რაღა!

ასე გასძახოდა მოედანზე მოხუცებული მგრგვინავი ხპით, რომლის არწივისებურ თვალეში გამოიხატებოდა განრისხება.

ტაძრის წინ თავი მოიყარა მთელმა ქალაქმა. მოხუცებული ავიდა საკურთხეველზე.

აქ იყვნენ მეფეები, ეფორები, მოგვები და მოქალაქენი — ქალი და კაცი.

— რათ იხსენიებ ცუდათ დიდებულ პავზანიას! მიმართა მას ხმა მალლა ერთმა ეფორმა, — სთქვი და დაგვიმტკიცე! თორემ სასირცხვილო სიკვდილით დაისჯები, რადგან ხალხის გმირს შეურაცყოფ.

— თუ არ დაგვიმტკიცებ, სიკვდილით დაისჯები — ახმაურდა ხალხიც.

მოხუცმა ყავარჯენი გაიქნია და სიჩუმე გამეფდა.

— აგრე იყოს! ღირსი ვიქნები სასჯელისა, წარმოსთქვა მან მშვიდათ და მედიდურათ. — პავზანიმ გაიმარჯვა სპარსელებზე! პავზანიმ სახელი გაუთქვა სპარტანელებს! ვათაყვანებ მის გენიოსობას! მაგრამ მომისმინეთ! პავზანიმ შეურაცყო თავისი სამშობლოს წმიდათა-წმიდა ჩვეულება. სპარტანელებს ჩვეულებათ არა აქვთ მდიდრული ცხოვრება, თუნდ გმირიც იყოს, თუნდ უბრალო მამულის შვილი. პავზანიმ გარს შემოიხვია დიდებული კარის კაცნი, რამდენიმე ასი ეგვიპტელი და მიდიანი დამცველ რაზმათ აიყვანა და მეფურის მედიდურობით დაიარება მათ ქრელ-ტანისამოსთა შორის. დამიგდეთ ყური, აი კიდევ რას გეტყვით! პავზანიმ ტყვეთ წამოიყვანა ათას კაცზე მეტი გამოჩენილი ოჯახის სპარსელი. მათ შორის ბევრი იყვნენ თვით მეფის ნათესავნი და კარის კაცნი. სად არიან ის დი-

დებული კაცი. პავზანიმ ისინი განთავისუფლა, და გამოსასკიდა ფული თვითონ მიითვისა. ახლა მისი ქისა გატენილია სპარსელების ოქროებით, თქვენ კი გამოგიცხადათ—გაიპარენო. ერთ რასმეს კიდევ გეტყვით,—სპარსელებზე გამარჯვებული გმირი დაუმეგობრდა სპარსელების მეფეს, კსერკს. უფრთხილდით, სპარტანელებო, ლალატს; დეე, გამკიცხეთ, სიკვდილით დამსაჯეთ, მაინც ვიტყვი, რომ პავზანი მოღალატეა!

ხალხი აღშფოთდა, მოისმა ყვირილი:—რითი დავგიმტკიცებ, მოხუცებულო, რომ ეს საძაგელი ცილის წამება არ არის? გმირს ყოველთვის შურით უყურებენ. დიდებას ყოველთვის უღირსი ცილის წამება ამოუდგება ხოლმე გვერდში.

— დამტკიცება გეჭირებათ? ას ადგილას გიჩვენებთ ქრილობებს, რომელნიც სამშობლოს დაცვის დროს მიმიღია!

ერთი ხელის გაქნევით გადიძრო წამოსასხამი და გადაუშალა ხალხს ძალოვანი გულმკერდი, რომელზედაც ემჩნეოდა მრავალი ქრილობები.

— აი, ეს ქრილობები მთელი ჩემი ცხოვრების მოწმები არიან. განა ამის პატრონი შეიძლებს გმირის შეურაცყოფას!

— შეუძლებელია! მართალი იქნება! შესძახა ერთ ხმათ ხალხმა და მოხუცებული ნელა, დინჯათ ჩამოვიდა საკურთხევილიდან.

ამ დღესვე სპარტას ქუჩებში და მოედნებზე ჩაჩუმდა ხალხი. ყველა ხმა ამოუღებელივ წავიდ-წამოვიდა თავიანთ სახლებში, თითქოს ეშინოდათ ხმის ამოდება იმაზე, რაც მოხუცებულმა გაამხილა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ პავზანი მიიხმეს სპარტაში; ვითომ და შინაურ საქმეების გამო დაიბარეს. არც ერთი მოქალაქე, არც ერთი მამულის გულ-შემატკივარი მის დასახვედრათ არ გავიდა. ქალები არ ეგებებოდნენ, როგორც პირველათ ყვავილებით, გზები არ იყო მოფენილი ია-ვარდებით. ჩუმათ, მარტო-მარტო მივიდა თავის სახლში, ამაღ გამოიწვია მის გულში სიბოროტე. მიხვდა, რომ მასზე ექვი აიღეს, მაგრამ ის ისეთი კაცი არ იყო, რომ თავი დაეხარა. განა შეიძლებოდა, რომ ის ვისმეს დამორჩილებოდა! ის, რომელსაც ერთი

ნიშნით შეეძლო ასი ათასი ჯარი მიესია მტერზე? ჯარი ხომ მას თაყვანსა სცემდა.

რაც უნდა უკმაყოფილება ჩამოვარდნილიყო ჯარში, კმაროდა, რომ ის დაენახათ! მშვენიერი, წამოსადეგი, ძალოვანი ვაჟკაცი, არწივისებური თვალებით შეხედავდა მათ, ერთს გაღიქნევდა მშვენიერ თავს შემკულ ხშირის, კუპრივით შავი ხუჭუჭი თმებით და ჯარში გაუბედაობა გაქრებოდა, მხდალიც კი გმირათ გადიქცვოდა. განა შეიძლებოდა, რომ ამისთანა კაცი ბედს დამორჩილებოდა და უბრალო სპარტანის მოქალაქეთ გამხდარიყო?

არა, მაგისთანა არ იყო პავზანი! განა ის ფიქრობდა მორჩილობაზე, როდესაც დიდ ღამეებში მარტოთ მარტო დახეტიალობდა ზღვის მაღალ კლდიან ნაპირებზე და შორს, შორს გაიყურებოდა. აქაფებულნი ტალღების შუილი, როდესაც ისინი უღონოთ ეხეთქებოდნენ წვეტიან კლდეებს, უღვიძებდნენ მას გულში საშინელ აღფრევებას და მის გაბედულ თავში ათასგვარი ჯოჯოხეთური აზრები ტრიალებდნენ.

მან მთლათ ერთი თვე გაატარა ყველასაგან მოშორებულმა, განცალკევებულმა, ფიქრებში გართულმა. სპარტანელები ბეჯითად აღევნებდნენ თვალს და ის იყო ეგონათ კიდევ, რომ შესცდნენ და უსაფუძვლოთ გმირს ცილი დასწამა მოხუცმა.

* * *

მშვენიერი გაზაფხულის დღე იდგა. ჰაერში ვარდისა და ზეთის ხილის სუნი ტრიალებდა. ერთობ გაკაშკაშებული სხივოსანი მზე და უღრუბლო, მოწმენდილი ლურჯი ცა სარკვესავით მოსჩანდა კამკამა ზღვაზე... ქალაქის ქუჩები დილიდანვე სავსე იყო ფეხით მოსული ხალხით, ყველა ტაძარში იყრიდა თავს მსხვერპლის შესაწირათ. ეს დღესასწაული დანიშნული იყო ღმერთი აპოლონის შესაწირათ, და აი სწორეთ ამ დღეს სპარტაში არა ჩვეულებრივი აშავი მოხდა. ერთბაშათ დიდი მოძრაობა ატყდა ხალხში, მხეცური კიჟინა გაისმა. შეშინებული და თავზარ-დაცემული ხალხი ქუჩებში გარბოდა.

— სპარსების სპარსებია! მოისმოდა ყველა მხრიდან ხმა.

— პავზანიმ გვიღალატა! გაგვცა! აწვდენდენ ერთი მეორეს ხმას.

ამ არეულობაში ერთმანეთისა აღარა ესმოდათ რა. ყვე-

ლა დიდ მოედნისკენ გარბოდა, სადაც ჩვეულებრივ თავს იყრიდენ ქვეყნის საქმეების გასარჩევათ.

აქვე რამოდენიმე მეომარს ვილაც კაცი ეჭირათ, რომელიც ცდლობდა თავი დაეხწია. ტანისამოსი ლუკმა-ლუკმით შემოხეოდა, ნახევრათ ტიტველი იყო. ორ ეფოროს აკანკალებულ ხელებში სიგელის ნაგლეჯი ეჭირათ, ხმა-მაღლივ რადასაც კითხულობდენ.

— ღალატი! ღალატი! ყრუთ მოისმოდა ხალხში და ერთი მეორეს უამბობდა, რაშიაც იყო საქმე.

მეომრებს ეჭვით შეეპყროთ ის ვილაც კაცი. თურმე პავზანია გზაჟნიდა მას სპარსეთის მეფე კსერქსთან, რომელსაც ჰპირდებოდა სპარტას და თვით მთელ საბერძნეთს, თუ მეფე თავის ქალს მიათხოვებს მას და პელოპონეზშიაც მთავარმართებლათ დანიშნავს.

* * *

ფიცხლავ ქალაქი შეჰკრეს. ვერც ვერავინ გავიდოდა და ვერც შემოვიდოდა.

პავზანიმ იგრძნო, რომ საქმე ცუდათ იყო და აღარ გამოჩნდა.

ლომისავით გაშმაგებული, სასოწარკვეთილებით სავსე დარბოდა თავის სახლში. ხალხი გარს შემოერტყა, აი მისი სახლის კარიც გააღეს. ერთი წუთი კადევ და ის ჩაუვარდება აღშფოთებულ შურის მაძიებელ ხალხს. პავზანიმ მარჯვით აიციდინა ხმალი, რომლითაც უნდა დაეჭრათ, გაუხსლტა უცაბედათ მდევრებს და გაექანა ტაძრისკენ, საჩქაროთ აირბინა საფეხურები და საკურთხეველთან შედგა. მდევარი ხალხიც შეჩერდა. გაისმა ჰაერში გაშმაგებული ღრიალი. ტაძარი არის ღვთაებრივი თავშესაფარი. რაც უნდა მძიმე დანაშაულობა მიუძღოდეს კაცს, თუ ის თავს შეიფარავს ღვთის სახლში — ხელ შეუხებელი ხდება. ეს არის ძველი დროიდანვე დაკანონებული და მთელ საბერძნეთში, უდიდეს ელლადაში — ვერავინ ვერ შეეხება... და ამიტომ ყველა გაცეხებული შედგა.

უცბათ ხალხი გაირღვა და ტაძრის საფეხურზე გამოჩნდა ერთი დედაკაცი. მას ხელში ეჭირა დიდი ქვა. ის ახალგაზრდა აღარ იყო. გრძელ ჩამოშლილ თმებში ჭადარა ერია. მისი

ჯერ კიდევ მშვენიერი სახე ტანჯვით და რისხვით იყო აღბეჭდილი. ყველამ იცნო პავზანიას დედა.

— მამულის შვილებო! მოისმა ამ სამარისებურ სიჩუმეში, — თუ დანაშაულობა არ მიუძღვის მაგას, დეე, ღმერთმა გააძლებინოს მაგ ტაძარში! და თუ ეგ მოღალატეა, დეე მოკვდეს მანდ სიმშილით! გადახადეთ მაგ ტაძარს სახურავი, რომ წვიმამ, ქარმა და გარეულმა ფრინველებმა შიგ თავისუფლათ ითარეშონ! ამოქოლეთ ტაძრის შესავალი ქვებით, რომ სამშობლოს მოღალატემ თავს არ უშველოს გაქცევით! მე დავბადე სამშობლოსთვის გმირი! აი ამ ძუძუებმა აწოვეს რძე და აი ამ ხელებმა აღზარდეს! მაშ ამავე ხელებმა მოკლან სამშობლოს მოღალატე! პირველი მე ვდებ ამ ქვას, გესმით? ამოსაქოლათ პირველ ქვას დედის ხელი სდებს და ხედავთ, რომ მისი ხელი არა კანკალებს! დეე, ესევე მოიქცენ ყველა სპარტანელი დედაკაცები, თუ მათი შვილები სამშობლოს გასცემენ.


და მან ტაძრის შესავალში დააგდო ქვა.

სპარტანელმა-ქალებმა ცრემლ მორეულებმა, აღტაცებული ყვირილით ღირსეული დედა აიტაცეს ხელში და ისე მიაცილეს სახლამდის.

ტაძარს სახურავი მაშინვე ახადეს და შესავალი კარები ქვებით ამოჭოლეს. პავზანი საკურთხეველში შიმშილით მოკვდა.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



ჰირველ-ყოფილი ადამიანის ყოფა ცხოვრება

IV.

ველურების სარწმუნოება.



ის სცემს თაყვანს ველური, ვიზედ ლოცულობს, ვის სწირავს მსხვერპლს?

ღელა-მიწაზე არიან ბევრი ისეთი ველურების თემები, რომლებმაც არ იციან რას ნიშნავს სიტყვა „ღმერთი“ „ღვთაება“.

როდესაც კალიფორნიაში (ჩრდილოეთ ამერიკის ნახევარ-კუნძულზე) მცხოვრებ ინდოელს ჰკითხეს, იცის ვინ შექმნა ცა და ღელა-მიწა, მზე და მთვარე, ვინ არი გამგე

სიცოცხლისა და მთელი ქვეყნისა, ის ყველას უპასუხებდა: „ვარა“, „ვარა“—არა, არაო! როდესაც ქრისტიანობის გამავრცელებელნი მივიდნენ აფრიკაში და უამბეს იქ მცხოვრებ ველურებს ჰემმარიტ ღმერთზე, რომელმაც შექმნა მთელი ქვეყნიერება, ერთმა ველურების წინამძღოლმა დაიყვირა: „რა კარგი იქნება, რომ ღდავიჭერდე იმ რაღაც ღმერთსაო“. და როდესაც ერთი მქადაგებელი აფრიკის ველურებს შეეკითხა—რათ ეძებთ ასე თავის ხეთქით ვიღაც ალღახსაო, მან უპასუხა: **ოხ!** ნეტავი დავიჭერდეთ როგორმე, მაშინვე იმ წყეულს დავკლავდით! განა ჩვენ ყანებს ის არ გვინადგურებს? ჩვენ ცოლებს და საქონელს ის არ გვიხოცავს?

აქედან ცხადათ სჩანს, რომ არც ერთს ამ ველურების თემებს არ ჰქონია არავითარი ვაგება—წარმოდგენა ღმერთზე, რომელსაც თაყვანს სცემს ყოველი განათლებული, შეგნებუ-

ლი ერი. იმათ არა ჰყავთ თავის საკუთარი ღმერთები, არა-
 აქვთ—არავითარი სარწმუნოება, ველურთა შორის არიან ხში-
 რათ ისეთებიც, რომლებმაც არ იციან თუ რამდენი თითის აქვთ
 ხელზე და რა გასაკვირველია, რომ ამისთანა შეუგნებელი ადა-
 მიანი ვერ მისწვდა იქამდის, რომ სულ უბრალო სარწმუნოე-
 ბა მაინც გაეჩინა თავისათვის

აბა ეხლა მოკლეთ მოისმინეთ რამდენიმე ცნობები შე-
 სახებ იმისა, თუ ვინ არიან ის ღმერთები, რომლებსაც ველურ-
 რი თავიანთ სცემს და როგორის პატივით ეპყრობა მას.

— ერთხელ, გადმოგვცემს მოგზაური ტანნერი, — ერთი
 წინამძღოლი ველურებისა სეტყვისაგან შეშინებული წამოხტა
 და ქუხილს თამბაქო შესთავაზა, უნდოდა ამითი დაეწყნარე-
 ბინა ქუხილი.

აფრიკელ გოტტენტოტებს თავისი ღვთაება წარმოდგენი-
 ლი აქვთ, როგორც ბოროტი სული, რომელიც ხალხს მხო-
 ლოთ უსიამოვნებას და ტანჯვას აყენებს; ავათმყოფობა, სიკ-
 ვდილი, შიმშილი, საქონლის ჭირი, ყველა ესენი მათი აზ-
 რით ბოროტი სულისგან წარმოსდგება. რასაკვირველია ამის-
 თანა ბოროტი ღმერთი ადამიანს არ უყვარს, მხოლოდ ეშო-
 ნია და სძულს. სწორეთ ამიტომაც გოტტენტოტებსაც ეჯავ-
 რებათ თავისი ღმერთი.

ახალი-ზელანდიის ველურებს ჰგონიათ, რომ თვითელი
 ავათმყოფობა, სნეულება ადამიანის სხეულში შედის სხვა და
 სხვა ბოროტი ღმერთების წყალობით. მაგალითათ: თავის ტკი-
 ვილის და გულის რევის მიზეზი არის ღმერთი—ცონგა; გუ-
 ლის ტკივილის ღმერთი—ხვლიკი, სახელათ მაკო-ტიკი, ხელ-
 ფეხის, ტკივილის ღმერთი—ტატი-გაი, სიქლექეს გზავნის ორი
 ღმერთი ტყუპები. კუჭის და ნაწლევების სნეულებას გვრის
 ბოროტი ღმერთი ტუტანგატ-კინო და სხვ. ყველა ეს ბორო-
 ტი ღმერთები დამშეულები შეესევიან ადამიანის სხეულს
 ღრღნიან შიგნეულს და საშინელ ტანჯვა-წვალებას აყენებენ
 მას, ბოლოს ჰკლავენ. რომ ავათმყოფი განიკურნოს ამ უბე-
 დურებისაგან იქაური ველურები მიმართვენ ჯადოქარს, რო-
 მელიც ცდილობს განდევნოს ბოროტი სული ავათმყოფის
 სხეულიდან; ჯერ ეფერება ბოროტ სულს, სთხოვს განკურნოს
 სნეული, თუ დაყვავება არ მოქმედობს დაიწყებს წყევლა-

კრულვას და გინებას, ემუქრება მოგკლავ და შეგქამ, თუ ავთმყოფს არ დაანებებ თავსაო. ამ გვართ მტრულათ და მოურიდებლათ ექცევა ველური თავის ღმერთს, იგივე სხანს შემდეგი ამბებიდან; ერთ დედაბერს კბილი ასტკივდა, ეს იყო არაბის ქალი, მან მიმართა თავის ღმერთს შემდეგი ლოცვით...

„ახ! ალლა, ალლა! შენ აგტკივდეს კბილები ისე, როგორც მე მტკივა, შენ გეწოდეს ღძილები ჩემსავით!“ როგორ მოგწონთ ამისთანა ლოცვა!



ჯალა ქარი.

კამხადკის მცხოვრებნი ყოველ შემთხვევაში აგინებენ და სწყევლიან ღმერთს, თუ რამე სურვილი არ აღსრულდათ. იმათ სწორეთ სძაგთ თავის ღმერთები და არც იციან, რისთვის არიან სიყვარულის და პატივისცემის ღირსნი. „თუ რომ ჩვენი ღმერთი სულელი არ იყოს, განა ამისთანა მიუვალ მთა-გორებს და აჩქარებულ მდინარეებს გააჩენდაო“ ამბობს კამხადელი.


როდესაც ერთი „წმინდანათ“ დასახული ინდოელი შევიდა თავიანთ ტაძარში, სადაც ესვენა მათი უმთავრესი სამი ღვთაების, კერპები, უპირველესათ თვითეულს მათგანს თითო პანდური ჰკრა. ამითი მას უნდოდა გამოეცადა ღმერთები, შეეტყო როგორი ხასიათისა არიან, განრისხდებიან თუ მოწყალების თვალთ დაუხვდებიან.

აფრიკის ზანგები ძრიელ უპატივცემულოთ ექცევიან თავიანთ ღმერთ-კერპებს; ხშირათ სცემენ მათ, თუ ისინი არ უსრულებენ თხოვნას, აგინებენ, როცა ღმერთები სეტყვას მოავლინებენ გაბრაზებულნი ესვრიან მოწამლულ ისრებს, უნდათ თავიანთი მტრების მოსპობა.

რას გვიჩვენებს აქ მოყვანილი ნაამბობი ველურებზე? აი რას. ველურის სიცოცხლე წარმოადგენს მუდამ მძიმე ბრძოლას: ებრძვის ის ბუნებას, მის მოვლინებებს: ქარიშხალს, ელვა-ქუხილს, საშინელ-მხეცებს, მრავალ სნეულებებს, სიკვ-

დილს. ყველა ეს სწავრავს, აშინებს ველურს. მას არ ძალუძს ახსნას მიზეზნი ბუნების მოვლენისა, არ შეუძლია თავი დაიფაროს; რა არის თვითონ ავათმყოფობა, როგორ ებრძოლოს მას, როგორ იექიმოს თავი—არათფერი ველურმა არ იცის, მხეცებთან ბრძოლაშიაც უძლურია: თავის ქვის ცულით და თუნდაც შხამით მოწამლულ ისრით ის ხშირათ ვერ უძლავდება საშინელ მხეცებს. რა ჰქნას საბრალომ? და აი მის ბნელ, განუვითარებელ ტვინში იბადება აზრი, რაღაც „ბოროტ“ სულის არსებობისა; ეს სული მას ყოველ უბედურებას აყენებს. ყოველისფერი, რაც კი ველურზე უფრო ღონიერია, ყოველისფერი, რაც მას აშინებს—ყველა ეს გაუგებარია, მისი ბავშური ტვინისათვის—ამიტომ ყველაფერს ის აღმერთებს, ხდის თავის სათაყვანებელ ღვთაებათ, მაგრამ უსათუოთ წარმოდგენილი აქვთ შრისხანე, შურის მაძიებელ, ბოროტ ღვთაებათ. ცხადია, რომ ამისთანა ღმერთის სიყვარული და პატივისცემა შეუძლებელია—ველურს ეშინია მისი, ცდილობს შეებრალოს თავი, მაგრამ სასოწარკვეთილების დროს კი ეჯავრება, როგორც ბოროტი უღმობელი სული. აი ამისთვის არის, რომ ველური ხშირათ, არა თუ აგინებს და სწყყენის, ის ურტყამს კიდევ თავის ღმერთს.

ყველაფერი რაც კი ველურს გარს ახვევია, ყველა საგნებს, მისი აზრით, აქვთ თავისი სული. სული აქვს ნავს, რომლითაც დაცურავს მდინარეში, ცულს, რომლითაც მოსჭრა ხე ამ ნავისათვის, ხეს, რომელიც იზრდება ტყეში, შუბს, ისარს, კალათს, თიხის ქოთანს, ერთი სიტყვით, ყოველ საგანს აქვს სული. აი ერთი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს ველურის ამ რწმენას. როცა ველური კვდება, მიცვალებულთან ერთათ მარხავენ მიწაში მის იარაღს, ქოთანს, თამბაქოს, ჩიბუხს და სხ. იმ



კერაი.

აზრით, რომ საიქიოს ამ საგნების სულები ცხოვრობენ მიცვალებულის სულთან.

ამ გვარი ადამიანი არსებობს მრავალ ველურთა შორის და ყველას ერთი აზრი აქვს, რომ მიცვალებულთან ერთად საიქიოს გადადიან საგნების სულიც. ეს სულები განირჩევიან ერთი მეორისგან, ზოგი მათგანი კეთილია, ზოგი ბოროტი; ამ მრისხანე ბოროტ სულებს ის უფრო ხშირად პოულობს თავის ახლო. ველური თაყვანს სცემს კეთილსაც და ბოროტ სულსაც, მაგრამ ვისიც ეშინია, მასში უფრო ცდილობს მოწყალების აღძრას, ან თუ ვისგანმე რამეს მოელის მას უფრო პატივს სცემს. წყალი, ცეცხლი, ქუხილი, ელვა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ქვები—აი რასა სცემს თაყვანს ველური, ყველას ამათ, მისი აზრით, აქვს სული, შეუძლია მას მოუტანოს სარგებლობა და ვნება. ზოგი ველური აღმერთებს სახლის უბრალო ავეჯეულებას. „ინდოეთში, ამბობს ერთი მოგზაური, — დედაკაცი აღმერთებს კალათას, სადაც ის ინახავს ოჯახში სახმარებელ ნივთებს, აღმერთებს წისკვილს და სხვა ავეჯეულებას, სწირავს მათ მსხვერპლს. დურგალი აღმერთებს თავის ცულს, ხერხს და სხვა იარაღს, ჯარის კაცი—საომარ იარაღს, ქვის მტეხელი—წერაქვს, რკინის უროს, რომლითაც ქვას ამტვრევს, მიწის მუშა—გუთანს.

ამ გვარათ ველურები სრული მონები არიან ბუნებისა და მისი მოვლენებისა, ბუნების ძალამ რომ ველურებს არავითარი ვნება არ მოუტანოს ისინი ცდილობენ ეს ძალები რითიმე თავისკენ მოიხმონ, მოკავშირეთ გაიხადონ, აი ის მიზეზი, რომ ის აღმერთებს, თაყვანს სცემს წყალს, ცეცხლს, ელვას. ზოგჯერ მთელი ბრბო ველურებისა შეგროვდებიან ტბის პირათ, მოათრევენ ცხვრებს და თიხის ქოთნებს. ეს ტბა არის სათავე იმ მდინარეებისა, რომლებიც მათ მხარეში მიმდინარეობს. ეს მდინარე აუცილებელი საჭირო არის მათი ყანებისათვის. როგორ არ სცენ თაყვანი ტბას? როგორ არ შესთხოვონ, რომ მან ბლომათ გამოგზავნოს მდინარეებში წყალი ყანების მოსარწყავათ? ამიტომ ეს გაუგებარი, ბნელი ხალხი ჰყრიან ტბაში მსუქან ცხვრებს, როგორც მსხვერპლს! მერე მიაყოლებს თიხის ქოთნებს და ასე ლოცულობს „ო, ჩვენო მწყალობელი

ტბავ! გაუგზავნე ეს ქოთნები სხვა ტბებს და მდინარეებს, დეე მათ გაამსონ წყლით და ისევ უკანვე დაგიბრუნონ, შენ კი ჩვენ დამშრალ, მდინარეებში ჩაასხი, რომ არ გახმენ ჩვენი ყანები“!

ინდოეთში ბევრი ისეთი ადგილებია, სადაც შექუჩულია სხვა და სხვა ფერადათ შეღებილი ქვეები, რომლებიც ვალმერთებული აქვთ მცხოვრებლებს. ქვეები იცავენ მათ ყანებს ყოველ გვარ მავნე ძალებისაგან. ამ ქვეებს სწორავენ მრავალ მსხვერპლს. ასეთივე ქვეების თაყვანის მცემელნი არიან აფრიკაშიაც და დიდი ოკეანეს კუნძულზედაც. მოხდება ასეცა: ესიზმრა ველურს ცუდი სიზმარი, გავიდა მინდვრათ, აიღო მრგვალი ქვა, შეღება სხვა და სხვა ფერათ, დადო ერთ მოკრიალებულ ადგილზე, თავის ქოხის შორი ახლოს, მიართვა მსხვერპლათ თამბაქო, თავისი სამკაული და სხვა, რომ ააშოროს მას ის უბედურება, რაც სიზმარში ნახა.

ველურები ხშირათ თაყვანს სცემენ ცეცხლს, სწორავენ მსხვერპლს, ვარდებიან ცეცხლში, ოღონდ ღმერთა-ცეცხლმა გაიკითხოს ისინი და რისხვა მოწყალებათ შესცვალოს. ბევრნი მონგოლის ველურთაგანები ისე არ დასხდებიან სადილათ ან ვახშმათ, რომ ერთი ლუკმა საჭმელი მაინც ჯერ ცეცხლში არ ჩაადონ. შავკანიანი აფრიკელი სწორავს მსხვერპლს შუა ოთახში დადგმულ ქოთანს, იმითი მას სურს აღნიშნოს, რომ ცეცხლი ამ ქოთანს არ მოშორდეს. ასე რომ სული, როგორც ქვაშია, ისე ცეცხლშიაც უნდა იყოს.

აგრეთვე აღმერთებენ მზეს, მთვარეს. ცხელ ქვეყნებში მზე—ბოროტი ღმერთია, ცივ ქვეყნებში-კი პირ იქით—დიდი მოწყალე.


აფრიკაში, როგორც რომ ველურის ზოგიერთი თემები დაინახავენ ცაზე ახალ მთვარეს, დაეცემიან მიწაზე, ტაშს უკრამენ, ლოცულობენ და ხმა მალლა შეჰყვირიან მთვარეს: „ასე განახლდეს ჩვენი სულიც, როგორც შენ განახლდი, მშვენიერო მთვარეო“!

ამ გვარივე საყურადღებოა ვარსკვლავების თაყვანის ცემა ზოგიერთი სამხრეთ-ამერიკის თემებისაგან. ზოგი მათგანი თაყვანსა სცემს მშვენიერ ვარსკვლავთა კრებულს „ხომლს“. იმა-

თი რწმენით, მათი თემი წარმოსდგა ამ ვარსკვლავებისგან. წელიწადში ერთ დროს „ხომლი“ ცაზე არა სჩანს, მაშინ ველურები ფიქრობენ, რომ მათი წინაპარი ავით გახდა და ძრელ ღონდებიან. მათში რო გამოჩნდება და ისევ ბრწყინავს „ხომლი“ ამ დროს ველურების აღტაცებას საზღვარი არა აქვს, ცეკვა-თამაშით, სიმღერით, დოლ-ნაღარას სცემენ. ასე ეგებებიან ავითყოფობისაგან განკურნებულ წინაპარს.

(შემდეგ იქნება).

იტა ნაკაშიძე.



მტკვრის სათავე, ჭოროხი და თაგარ გეზე

მგზავრის დღიურიდან.

IV.



მ გვარათ, ამ მარჯნის წყაროდან, ვიდრე საქართველოს საზღვრამდე (სოფ. დიდი სამუხი), მტკვარი გადის 726 ვერსტს, მაშასადამე, ალაზნის შეერთების შემდეგ, მტკვარს კიდევ რჩება გასავლელი 518 ვერსი. ჩაივლის ქვემო ქვეყნებს, მდინარე აჩაქსაც *) მარჯვნივ შეირთავს და წყალმრავალი მტკვარი სამარადისოთ უერთდება კასპის ზღვას, აქ მტკვარი ფრტოტათ იყოფება, რომელთა შუა კუნძულივით მდებარეობს პატარა ხმელეთი, ესრედ წოდებული სჯაიანა.

მართლაც და ამ დიდებულ მდინარეს მტკვარს, გარდა იმისა, რომ 1244 ვერსის სიგრძე აქვს, თან უშველებელი ადგილი უჭირავს თავის ტოტებითურთ. სტრეღბიკის გამოანგარიშებით მტკვრის ბასეინის არე მარე უდრის 136,355 ოთხკუთხ ვერსს! არც თუ საკვირველია, რადგანაც ყუბა-ლენკორანს გარდა, მთლად აღმოსავლეთი საქართველო და ქვემო ქვეყნები მტკვრის და მის ტოტების ბასეინს, ხეობა-ღელეებს უჭირავს.

ჯერ 1814 წელს სცადეს და კასპიის ზღვიდან მტკვარ-მტკვარ, სიმუხამდე ამოვიდნენ დიდრონ ნავებით. დღეს კასპიის ზღვიდან ხომალდები ამოდიან ვიდრე სოფ. ზაქდობამდე (320 ვერსტს).

*) ეს რამდენიმე წელიწადია არაქსი მტკვარს გაუწყრა. მარჯვნივ გაუჩრვია თავისი ძველის ძველი კალაპოტი და პირდაპირ თავის თავათ ზღვას ერთვის.

წელიწადში სულ რა ცოტა, ათასამდე დიდი და ორი ათასამდე პატარა ხომალდები აღი-ჩადიან მტკვარზე. უმთავრესათ თევზის საჭერათ და ცუტრაობენ და ამ მიზნისთვის საგანგებოთაც არიან მოწყობილი. სალიანს და ზღვას შუა, მტკვრიდან ყოველ წლივ სამ მაჯიან ფუთამდე ამოაქვს სხვა და სხვა გვარი თევზი. უმთავრესათ ხვდება: სუა (Бѣлуга), თართა *) (Осетръ), ფორჯა (Шипъ), ტარაღანა (Севрюга), ღრგუჯა (Лосось), შამაა, ლაქა **) (Сомъ), ფარგა (Судакъ) ჭანაჩი (Карпъ), ქაშაში, კუტუმი და სხვა და ს.ვ.. ახლა ამა ისიც ვიანგარიშოთ, რამდენი ათასი ფუთი წელს და ხიზილას გამოდის.

არაქსის შესართავიდან ვიდრე ზღვამდე მტკვარი ისეთი მდიდარია აუარებელ თევზით, რომ ამისთანა ძვირფასი ადგილი მთელს ქვეყანაზე არ მოინახება! ეს ღვთივ კურთხეული ადგილი ხაზინას ეკუთვნის და იჯარით გასცემს ხოლმე.

ამ ჟამათ იჯარის ფული შემოაქვს ყოველ წელს 1,174,730 მან., ანუ ასოც ათასი თუმანი.

ახლა ამა დამისახელეთ, ვინც იცით, საქართველოს საზღვრებში მტკვარში რა და რა თევზი ბუდობს?..

— კვენაში კი ნუ ჩამომართმევთ, ბატონო, და მაგის პასუხს მე მოგახსენებთ — წინ წამოდგა ჯავახელი გლეხი და დიწყო, — ამ არტანიდან იწყება ჭანაჩი ბლომათ, ზოგჯერაც აქ ხვდება, დიდ წყლობას, დიდრონი კაღმასხი 17—20 გირვანქა. საიდანღაც გადმოვარდება ხოლმე დიდ ავდრობას. წვრილ კალმახით ხო აქაურობა სავსეა, ყველა მდინარეში იცის. კიდევ ვარძიასთან იცის ჭანარი 17—18 გირვანქა, აქვე ვარძიის მორევში იცის ლაქა, მერე ასე ჩაყოლება ხერთვისისკენ ბევრი ხვდება ცამოჩა, ლურჯა, წითელი თევზი, შავი თევზი, ქანა, კარჩხანა, გოჯა, მურწა, ნაფოტა, სელამურა (შვიდი თვალი აქვს მარჯვენა გვერდზე, ამიტომ დარქმევია სალამურა, თანაც გველსა ჰგავს).

„ვარძიასთან თითო იმისთანა კალმახი ხვდება, რომ თუ კარგი მებაღურე არა, კალმახს ვერ დაიმორჩილებს, დიდი ონა-

*) ზუთხი (იმერეთში).

***) ლლავი (იმერეთში).

ვაოი თევზია და ძრიელაც უსხლტება კაცს ხელიდან. ერთიც რა უნდა გაცინოთ, ბატონებო, ფაცერში როცა ჭანარს იქერენ, ჯერ ხელათ, საჩქაროთ ორმოებში ჰყრიან, ახლა ვინც კი ბიჭია და ჭანარს ორმოდან ამოიყვანს!.. ჰო და, ჯერ უნდა გვერდები დაუფხანო, ძრიელ იამება, ისე რომ სულ გაყუჩდება; აი სწორედ ამ დროს, ი თვლემას რომ დაიწყებს, უნდა წააპარო ხელი, სტაცო ლაყუჩებში და ისე თავიდან დაქერილი ამოიყვანო. მოჰყვება ბოლოს ქნევას გაცხარებულნი, მაგრამ სადღა წამივა.

— ვა! მეც ვიცი, ახარ, თევზები; ალაზანში თანთს და არაგვში (არაგუფს *), რა თევზი სჯობია!.. თიფხიზის ცოცხალს კი მე ვიცი დაიწუნებთ; აი!.. გურჯაანის ბოლოს მე კახი მინახავს ალაზანში დაგებულნი, იქ რომ თართი ამოდის, ჰაი გიდი ჰა!.. ჰა! რას იტყვი, კნიაზ?!

— მოითმინეთ, ხაჩატურ ალა, განა ჩვენ კი არ ვიცით ჯავახეთში. აი, იმ ვარძიიდან ჩაყოლება აჩხები ვიცით. მარტო ხიზაბავრელები წელიწადში ისე როგორ იქნება, რომ საყველიეროთ ქუთაისში ასი თუმანის მეტი არ გაყიდონ ფიჩხუჯი თევზი **)..

— ახლა კი გვეყოფა თევზებზე ლაპარაკი. აბა, ჯავახელო, ისევ შენ, აბა ჩამოთვალე, რა ფრინველი ხვდება მტკვრის ხეობაში?..

— მე ისევ ჯავახეთის საზღვრებში მოგახსენებ, მაგრამ ყველანი სად მოვიგონო.

„ჯავახეთ მინდორ-ვაკესა,

მწყერსა უგებდი მახესა,

იქ ქალი შემომეჩვია,

მალ-მალ მომიშლის მახესა.

— გოგოვ, ნუ მიშლი მახესა,

თორემ შეგიშლი სახესა“..

— აი გიშველოს ღმერთმა! მერე? მერე რა? ჯერ ერთი,

*) ადგილობრივი ხალხის თქმით—როცა პატარა-კალმახი ჰქვიან, გაიზდება და ორაგული.—ამას გამორკვევა სჭირია. ილ. ალხ.

**) მდინარე ხრამში (წალკაშია) დაჭერილს მოხარულს თევზს ჰქვიან ხრამული, ოჩხებში სხვაგან დაჭერილს ჰქვიან ფიჩხული, რადგან ორმოებში ფიჩხსაც ახმარებენ.

რო მწვერი ძრიელ ბევრი იცის ზაფხულობით, აქ კი, მტკვრის ხეობაში იცის: აწიფი, ორბი, ძეგა, ქარი, კარკიტა, ვეფი, კაჭკაჭი, საკვირველია, ბატონო, რო კაჭკაჭი როდი ამოდის ზევით, ჯავახეთში...

— მაგას რა დიდი გამოცანა უნდა. ჯერ ერთი, რო ცივა და მეორეც ესა, კაჭკაჭს ხილის ბაღები უყვარს, ჯავახეთის მინდორ-ვაკეზე კი არაფერი ხილი არ ხარობს...

— მერე კიდევ იცის: ღაღა, ახვი, ბატი (ყარძახის ტბა-სავსეა ბატით), გარბანი, უარბათლასი, ჯაგჯაგი—მთელს ჯავახეთში, ყველა სოფელში საგანგებოთ უმზადებენ ბუდეს მალალ ბოძზე, ისე რო მთელს სოფელს თავს დაჰყურებს. საკვირველია, ბატონებო! ყოველ წლივ, გაზაფხულობით აუცილებლივ ერთსა და იმავე დროს მოდის—მარტის 8-ს თუ გადააწიფა 9-ში მოუსფლელი არ დადგება. ყველას ძრიელ გვიყვარს და მისი მკვლელი, სულ ერთია, კაცის მკვლელათ მიგვაჩნია! თუ არ გამიჯავრდებით, ერთს მასალასაც მოგახსენებთ. უადრამან ბეგმა ახაშაქემ. თოკელმა ბატონმა, ე, ღმერთმა ისიც თავის რჯულზე აკბონოს... თუმცა მაჰმადიანათ მოკვდა, მაგრამ სულ ერთია, ე ღმერთი ხო ერთია, თანაც ვინ იცის, იმის გულში ვის ჩაუხედია, იქნება ქრისტიანსაც ლოცულობდა... მაგრამ იმისთანა დარბაისელი სახით, ნამდვილი ქართველი მე ქართლშიაც არ მინახავს. მერე რა ქართულად სიტყვა-პასუხის პატრონი იყო ი, ცხონებული... ჰო და, ერთხელ იმან გვიამბო: იციან, ბიჭებო, ამდენი ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები საიდან ააშენა თამარ მეფემო?! ერთხელ თამარ მეფეს, ვარძიაში ზაფხულს რო ბძანდებოდა. ერთი ფეხ-მოტეხილი ჯაგჯაგი მოჰგვარეს. თამარ მეფემ მაშინათვე თავის ხელით დაფქული ნახშირი მოაყარა, ფეხი არტახებით შეუკრა და შვილივით უვლიდა ლაგლავს. იმ ზაფხულს არაფერი და მეორე ზაფხულის ბოლოს, ფეხ-გამთელებულმა ლაგლავმა ვეღარ გასძლო, გაიპარა. . აღბათ სხვა ლაგლავებს გაჰყვა სხვა ქვეყნებში, საზამთროთ. თამარ მეფე ძრიელ დალონდა, მაგრამ მესამე ზაფხულს იპრიანა ღმერთმა და აკი ილაგლავი პირდაპირ კალთაში ჩაუფრინდა თამარ მეფეს!.. თამარს საშინლათ გაეხარდა, მიუაღერსა, მაგრამ ლაგლავი, როგორღაც ხელიდან გაუსხლტა და გაფრინდა, გაოცებულ თა-

მარ მეფეს კალთაში კი ორი წინდის ჩხირი აღმოუჩნდა — ერთი ოქროსი იყო და ერთიც ვერცხლისა. ასე გადაუხადა ლაგლაგმა მეფეს ამაგი. ბოლოს აღმოჩნდა — რო ი ვერცხლის ჩხირით რძეს რომ მოურევდა — სულ მთლათ რძე ვერცხლათ გადაიქცეოდა და თუ ოქროს ჩხირით მოურევდა — ოქროთ გადაიქცეოდა. მას აქეთ მოჰყვა თამარ მეფემაც და თავის სახსოვრათ სულ ციხე-მონასტრები ააშენა მთელს საქართველოში... ახლა კი, ბატონო, მე ჩემი ვსთქვი და გავათავე... მაგრამ თავი და თავი კი არ მოვიგონე:

„კაკბისა მოსატყუარსა

ვაი ვაგლახი მელსაო...
 გქონდა მუცელი მშიერი,
 რაღა დიდება ღმერთსაო“

ძრიელ ბლომათ იცის აქ კაკაბი გნაფი, გარეუფი ქათამი...

— მოიცა, და ეგ რაღა ლექსი იყო?..

— ეგ ბატონო, მშიერმა მელიამ თურმე კაკაბი დაიჭირა და ის ის იყო პირისკენ რომ გააქანა, კაკაბი შეევედრა: მელიავ, ე ხო სულ ერთია შენი ლუკმა ვარო და ჯერ ღმერთი ახსენე, ღმერთს შეევედრე და მერე ისე შემეჭამეო... მელიამ ტოტები ზეცას აღაპყრო და კაკაბი გაფრინდა... ჰო და თუ გნებავთ კიდევ მოგახსენებთ... იცის აგრეთვე ჩიტები: ბუჭბუჭი (დაბლა ხეობაში), ჭნჭნაჭა, მერცხალი, ფუტყარიჭამია, წანწკაღა (ბოლოქანქარა), ოფოფი, გუგუფი...

— მოიცა, მოიცა, ჯავახელო... შენ გაგიგონია ახალი ამბავი... სულთან მურადმა შარშან ფირმანი გამოსცა: „სასტიკათ მიბრძანებია ამიერიდან საქართველოში ოფოფმა — გუგუფი იძახოსო“! თქვენში ოფოფები ასრულდებენ ამ ფირმანს თუ არა?!

— ?!... აქაო და ჯავახელიაო...

— სჩანს არა გჯერა... მაშ, იცი რა... შორაპანს წაბლის მოსატანათ რომ წახვალ, იქ იკითხე თამაზა და მაქსიმე... იმათ ტყაფუნაზე სულთანის ოფოფები მოსულან და მთელი ზაფხული თურმე კუკუს გაიძახოდენ...

— შე დალოცვილო და შორაპანს მაგისტრის რად მგზავნი, კნიაზო, ჩვენშიაც მეგულის ერთი მაქსიმე... ამასაც ბევრი ოფოფები ჰყავს... ე ხუმრობა იქით იყოს. ნება მიბო-

ძეთ, ბარემ ვავათავო... აი, კიდევ მომაგონდა, ტბაზე იცის თეგზი-ყვანა (თეთრი ფრინველია გუბეებისა — რუსები ცაბლიას ეძახიან) ზაფხულობით კიდე მოდის აქ ერთი შესანიშნავი ფრინველი უაწყატი—ესეც თეთრია, მძიმე ფრინველია, ცხვრის ოდენა იქნება. დიდი ჩინჩახვიანი, გრძელი, წითელი ნისკარტი აქვს. წყალში ცურაობს, როგორც ბატი და თევზზე ძრიელ მოხერხებულათ ნადირობს, ბოლო არა აქვს, ისე დროებით ამოდის, იშვიათი სანახავია, მაგრამ, ბატონო, თავი და თავი კი დამავიწყდა—წერო. ამაზე ლამაზი ფრინველი არა მგონია სადმე იყოს. გედი ხო ქებულია, მაგრამ ჰაეროვნებით წერო აჯობებს.

— ვა! ახარ, ინჩე ასუმ!.. ნადირობა გინდათ, ყარაიასე მოდით, იქაც მტკვარი არ არი?!. მართალია, თქვენი ჯავახური კაკაბიც შამფურზე კარგია, მაგრამ იქაურ ხოხობს აბა რა შეეღრება... ჰა, ჰა, ჰა... ჩახობილი და ზედაც მაშარაბი, ბროწეულის წვენი... ან კი ბროწეული რათ გინდა, იქვე ყარაიასი თუთუბოს ბუჩქებით არის სავსე—დაკრიფე თუთუბო და დააწურე... ამა ჰა, მეც რას ვამბობ, ხოხობი ხო კახეთშიაც ბევრი იცის, მაგრამ ჯეირანი!? ვა! მაშ რათ ეძახიან ჯეირან-ჩოჯს, ახარ... ჯეირანით სავსეა იქაურობა. აი მწვადი! აი შიშლიკი! მეფეს ეკადრება.

— ეგ მართალი ბრძანებაა, ხაჩატურ ალა!..ყარაიას, ანუ ყარაიასს, ვახუშტიც გვიქვს: „არს ველი დიდი უაჩაასს, სავსე ქურცაკითა*“), რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი-წლიათ, ხოლო მტკვრის კიდეთა ქალა დიდი სავსე ეშვითა**), მშვლითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა, ირემი იმყოფების ქამათ, და ხოხობნი მრავალნი“..

— დაიცათ ბატონებო, ახლა ზოგიც მე მათქმევინეთ, განა აქ კი არ იცის სანადირო. უწინ აქ გარეუჯი თხსც იცოდა, იშვიათათ ირემიც ხვდებოდა აბულოთან, მაგრამ ახლა ხალხი გამრავლა, ნადირი დაფრთხა, თანაც სადაც ტყე და ბუჩქი იყო ხალხმა უდიერათ გაჩეხა, თორე დათვიც იცის აქ. მაგრამ ვისაც საქურქეთ კარგი ბეწვი გინდათ ყუფთიკივით რბილი, ეგ აქ მოიკითხეთ. ბევრი იცის კვერნა (თაარულოთ

*) ჯეირანი.

***) გარეული ღორი.

სამსარი ჰქვიან, თითო 7—8 მან. იყიდება), ამ მტკვრის ხეობაში და მის ზემოთ, ჯავახეთშიაც იცის წაფა (წყლის ძალი), თითო 10—15 მან. ღირს. მგელს და მელას ხო ყოველ წლივ აუარებელს იჭერენ მახე-ხაფანგებით და სწამლავენ წამლით. კიდევ რა გითხრათ—აქაც და ჯავახეთშიაც ტბაზე ბევრი იცის ჭოფილა *), ჭანჭრობში ზის, მწყერსა ჰგავს, ნისკარტი გრძელი აქვს, ანაზღაო აფრინდების—რუსები ბეკასს ეძახიან, ძრიელ გემრიელია. ერთიც, ბატონებო, აქ რო ჯოჯო იცის, (ხელიკსა ჰგავს) საქართველოში სხვაგან არსად მინახავს. რასაკვირველია, აქაც იცის გველი, ხელიკი, გველხეკეკა, ბაყაი და სხვ. ერთნაირი კიბორჩხალაც მინახავს მტკვარში—ორმოცფეხას ეძახიან, გვერდ-გვერდ დადის, მიცურაობს, წყალში სცხოვრობს.

V.

„რაცა ხანია თურმე თავზე მედგა, ყვარჯენზე დაბჯენილი, ჩვენი მასპინძელი ედიგარ-ალა და დანიელ ხახამს თვალს უშვრებოდა—კარგით, გეყოფათ ამდენი ლაპარაკი... ე სადილობის დრო გავიდა კიდევ და რალა მადლი ექნება შექამადებსაო. ქამარზე თურმე ხელს ივლებდა: ხედავ, ქამარი მოეშვა, ძრიელ მშინაო, ჩვენც ყველანი ისე უსიტყვოთ გავყვით ჩვენს ძვირფასს მასპინძელს, თურქს...“

„რალა თქმა უნდა სადილი მეფური იყო, მხოლოდ ის კი ვერ შევნიშნეთ, რომ შემწვარსაც (ხორცეულს) თავლს და შაქარს უმატებენ. ერთმაც გამაკვირვა; კიტრა, მწვანილი და მსხალი ამშვენებდა ჩვენს სუფრას, აღმოჩნდა, რო აქ ბლომით მოდის ყველა ნობათი ართვინიდან, აქვე არსიანის მთაზე მოკლე გზით გადმოდიან თურმე.“

სადილზე ლაპარაკი თითქმის რო ლექციის გაგრძელება იყო, ე. ი. დანიელ ხახამი უხსნიდა, უთარგმნიდა ჩვენს მასპინძელს რაზედაც იყო ბასი. მასპინძელი ედიგარ-ალა მოლლას რალაცაზე შეეკამათა. გამოჰკითხა ყველაფერი და ბოლოს იმაზედ გაცხარდა... აღმოჩნდა, რომ მოლლას მარტოთ და მხოლოდ მარჯან სუ უჩვენებია, მაშინ როდესაც იქვე

*) ამ ტერმინს ოცი წელიწადი მეტია მე თითონ ვეძებდი და ახლა შემთხვევით ვიპოვეთ. ილ. ალხაზ.

თურმე არის კიდევ მასხედ უკეთესი წყარო „ჯუნჯუნ ფაურა“, რაიცა ნიშნავს მარგალიტის წყაროს, ეს წყაროც სათავე არის მტკვრისა და წმიდა წყაროთ მიგვაჩნიაო...

„ნასადილევს მთლათ ჩვენი კრებული კარგს გუნებაზე იყო. ყველას აღვეძრა ცნობის მოყვარეობა და დიდის ხალისით გავეშურენით ისევ მტკვრის სათავეს სანახავათ. მით უფრო, რომ ამდენ ყაჟურმა-ფლავებს მონელეობაც უნდოდა თუ არა!.. ჯერ ხანათ არ იღებდა მონაწილეობას ჩვენი ლექტორი, რადგან მეორე დილით წასვლას ემზადებოდა, მაგრამ უიმისობა, რაფრივ მოხერხდებოდა...

„გავვიძღვა წინ ჩვენი მცხოვანი მასპინძელი თავის განუყრელი თავჯვარელი ყავარჯენით, მარჯვენა ფეხით ცოტათი კოხტაობდა, კოტიტაობდა „მარჯნის“ წყაროთი მონიბლული მე ახლა „მარგალიტის წყაროთი“ ვოცნებობდი...

„ჩვენი ფეხის ხმას ქალებიც აჰყვენ, ესენიც დავედევნენ, მაგრამ შორი-ახლოთ, კრძალვით, რიდიო. ჩვენმა წინამძღოლმა, მითომ დატუქსა კიდევ თავის ჯალაბობა, „რათ მოდინართო“, მაგრამ ეს უფრო, მგონი კი იმიტომ, რომ უფროსს სახლისას ხო რამე უნდა ეთქვა, რადგან „ჰმართებს დედა-კაცსა, მამა-კაცის დიდი კრძალვა“-ო (ვეფხის ტყაოსანი).

„ერთს საათს არც კი გაველო, ჩვენ უკვე მოუხსენით მშვენიერ „მარგალიტის წყაროს“ და ხარბათ შევსვით აზარფეშით ეს უმწიკვლო, ცივ-ცივი მთის წყარო... რამდენჯერმე ალავერდიანხშიოლით მოვირიგეთ.

ეს წყარო მდებარობს „მარჯნის“ წყაროსაგან ქვემოთ, ასე ასი ადლის მოშორებით, ჩრდილოეთის მხრივ, ესეც კლდიდან გადმოჩხრიალებს, გადმოსჩქეფს, მთელი ეს მიდამო, ვაკე-ქაობიანი ღელე მოფენილია პატარ-პატარა წყაროებით, რომელნიც ემატებიან „მარგალიტის“ ნაკადულს. ამ გვარათ „მარჯნის“ და „მარგალიტის“ წყაროთი შერთულს ნაკადულს დარქმევია ქართულათ მდინარე მტკვარი და არაბულათ ქიურ, გიუნ და სხვ...

(შემდეგი იქნება)

ილ. ალხაზიშვილი.



მზისაკენ

(გუძღვნი პატარა თამარა ბერძნიშვილს)



ბოლი მათხოვარა ბავშვი დაგლეჯილ ტანსაც-
მელში, მიჰყუდებოდა მდიდრის სასახლის კე-
დელს, და გაუბედავთ უწვდიდა ხელს გამე-
ლელთ მოწყალეობისთვის.

ახალი გამოზატხულებული იყო.

მახლობელი მთები ამწვანებულიყვენ,
გაზატხულის ცხოველ მზეს მოეფინა ირგვლივ თავისი გამა-
ცოცხლებელი სხივები. მდიდარ სასახლის წინ მიდივ-მოდიო-
და ხალხი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა საბრალო
ობოლს.

ქუჩებში დაგრიალებდენ საუცხოვო ეჭლები, რომლის
თვლებიც ტალახით წუნწკლებს აყრიდენ საბრალო ობოლს,
რომელიც თავისი ძონძებით იწმენდა ატირებულ და გაყვი-
ლებულ სახეს, სიცივისგან კანკალებდა და თან უფრო მაგ-
რათ ეკვროდა კედელს.

— წითელო მზევ! კეთილო მზევ! მხოლოთ შენ მათბობ
მე, მკოცნი, როგორც საყვარელი დედა! რა მომივიდოდა
მაშინ, რომ შენ არ მიყურებდე, არ მეაღერებოდე!.. მე გა-
ვიყინებოდი; ხომ აღამიანებს არ ჰსურთ ჩემი შველა! მე მცი-
ვა, მეშინია აქ! და თან საბრალო ბავშვი უფრო ძლიერ ეკვ-
როდა კედელს; იგი ეხლა აღარ უცქერდა ხალხს, შესცქერო-
და მხოლოთ კეთილ მზეს, თითქოს იმის გულში ჩაკვრა
სურდა. .

— ნათელო მზევ! წამიყვანე შენთან! მე აქ გავიყინები
ლამე!.. წამიყვანე შენთან!.. როდესაც მზე ჩაესვენა, როდე-
საც უკანასკნელმა სხივებმა ააფერადეს კიდეები, — დაჰქროლა
მწვავე და ცივმა ქარმა, საბრალო ობოლი სიცივისაგან გაა-
ურსულა..

— კეთილი მზე დედასთან წავიდა; მე კი..

ტიროდა ობოლი, ცრემლები დაბადლებით გადმოხდიოდა გაყვითლებულ სახეზედ...

ხალხი თავიანთ სახლისკენ ბრუნდებოდა, მაგრამ მას არავინ ხედავდა, არ ესმოდათ, აოც ნახვა სურდათ, არც გაგონება, ობლის ტირილის და ცრემლის..

— მე წავალ მხესთან! ის მთის იქით ჩაესვენა; იქ ჩემი დედაცაა! მე წავალ იმასთან!..

საბრალო ობოლი, სიცივისაგან აძაგძაგებული, კედელ-კედელ მიდიოდა დიდრონ სახლების წინ, და მალე ქალაქს გარეთ გავიდა

გზაში ხვდებოდა ხალხი, რომელიც მიეშურებოდა ქალაქისაკენ. ქალაქის მახლობლათ ამართული იყო დიდი მთა, რომლის იქითაც ჩაიმალა მზე. ბავშმა მიაღწია მთას და შეუღდა აღმართს. ჰქროდა ცივი და მწვავე ქარი; სციოდა ბავშვს, და ამიტომაც ფეხ-აჩქარებით მიდიოდა აღმართზე. ობოლს უძნელდებოდა მთაზე ასვლა, მაგრამ ის მაინც გაბედულათ მიდიოდა წინ... სიბნელე ჩამოეშვა და მწვანე მთები შიგ გაეხვია. უღრან ხეებს სიბნელე გადაეფარა... ბავშვი კი მიდიოდა... ხან წაჰკრავდა ფეხს ქვას და წაიქცეოდა, მაგრამ ისევ წამოდგებოდა ხოლმე და განაგრძობდა გზას...

უცბათ ადამიანის ხმა მოისმა: — ეი! ეი! შენ, ვინა ხარ? — ან სად მიდიხარ?

— სულელი! — მოისმა ხელ-მეორეთ ხმა.

ბავშვი კი გაჩუმებული კვლავ მიდიოდა. მან იცოდა, გრძნობდა, რომ მზე იქით იყო, — მთის მეორე მხარეს გაურკვეველი წყვდიადი მძიმედ ეშვებოდა დედა-მიწაზე. ღამის ფრინველნი შავათ მიჰფრინავდნ საზრდოს საშოვნელათ. შორიდან ოდნავ გაისმოდა ძაღლების ყეფა.

უშიშრათ და გაბედულათ მიაბიჯებდა ბავშვი აღმართზე, სულ ზევით და ზევით. უცბათ, ახლოს დაინახა მან სინათლე და ადამიანის ხმა კვლავ მოესმა.

— შენ ვინა ხარ? — ან სად მიხვალ?

— მე პატარა ობოლი მგზავრი ვარ, მხესთან მივდივარ. მითხარი, შორს არის კიდეც მზე?

ამ დროს ბავშვთან მივიდა ადამიანი ქრაქით ხელში, აათვალ-ჩაათვალიერა, დაკვირვებით დააქკერდა და შემდეგ უთხრა:

— შენ უსათუოთ გზია და დაღალული ხარ, წამოდი ჩემთან! ხვალ მე თვითონ წაგიყვან მზესთან, — უთხრა კეთილ-მა უცნობდა, — მთის მწყემსმა, მოჰკიდა ხელი ბავშვს და წაიყვანა სახლში. მწყემსს ჩვეულებრივი ქოხი ჰქონდა, შუა ქოხში ცეცხლი ენთო, ცეცხლის გარშემო კეთილი კაცის ცოლი და მისი სამი პატარა ბავშვები, საბრალო ობლის ტოლები, შემოხსდომოდნენ. მეორე ოთახში ირეოდნენ ცხვრები.

— ჩემო ბავშვებო, ძმაულა გიპოვეთ, ეხლა სამის მაგიერათ ოთხნი იქნებით; თქვენთან ერთათ ამასაც გამოვკვებავ: გიყვარდეთ ერთმანეთი; მოდით, აკოცეთ თქვენ ახალ ძმას!

პირველათ მწყემსის ცოლი მივიდა, მოეხვია ბავშვს და მაგრათ, მშობლიური სიყვარულით, გადაჰკოცნა; შემდეგ ბავშვები მივიდნენ და მათაც ძმურათ გადაჰკოცნეს საბრალო ობოლი. ბავშვა სითბო იგრძნო გულში. სიხარულისაგან ტირილი მოერია და შვების ცრემლები გადმოეფრქვა. შემდეგ ყველაფერი უამბო ქალაქში ნანახი. მალე ყველა ვახშამს შემოუსხდნენ. ქამის შემდეგ ბავშვა თავის თავგადასავალი უამბო ახალ დედ-მამას. სიცილის და სიხარულის შემდეგ დედამ ყველანი ერთ ლოგინში ჩააწვინა. ობოლი ბავშვი ძალიან დაღალული იყო და ლოგინში ჩაწოლის უმალ ტკბილათ ჩაეძინა. საბრალო ძილში მზიარულათ იღიმებოდა, თითქმის მზესთან იყო, ბედნიერი მის მკერდს ეკვრებოდა. როდესაც კმაყოფილს გამოეღვიძა, დაინახა, რომ მზის მაგივრათ ახალ დედისთვის ჩაეკიდა ხელი.

ეხლა უკვე სრულათ დარწმუნებული იყო, რომ მზე აქ იყო, — ამ სახლში. ვინც ამ ქვეყნათ იპოვის კეთილ გულს, ჩემო პატარა მკითხველო, — იგი მზეს ჰპოულობს!

ვ. საათაშვალი.





† არჩილ ჯორჯაძე.



ომელი ქართველის გული არ აჩუყდება და რომლის თვალებს არ წარმოსქდება ცხარე მღულარება, როდესაც ამ ლობიერებით სავსე სახეს დაინახავს და წარმოიდგენს, რომ ეს უმანკო, სპეტაკი სულის პატრონი, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი, ჯერედ ჭაბუკი, (სულ ორმოცი წლისა), უკვე შავმიწას აბარია და იმის ნიჭით და კაცთ-მოყვარეობით სავსე გული აღარ სძგერს?!

და აკი სტირის და გლოვობს ამ რჩეულს, ძვირფასს. შვილს ჩვენი ქვეყანა!.. აკი აფასებს და თაყვანსა სცემს იმის სახელს, ვინც გატეხილის ჯანით (ქლექი იყო), დასუსტებულის მარჯვენით, უკანასკნელ წამამდე კალამი არ გააგლოხელიდან და იშვიათი რამ ძეგლი შექმნა თავის ხალხისთვის, რომლის გაცნობა ახალთაობას ნათლად დაანახევებს „ჩვენ ერთობას დაკარგულს, ჩვენ მამულს დაობლებულს“ და იმის განახლებისთვის მათ გულში ცეცხლს აღგზნებულს აანთებს.

დედა და შვილი

(აჩნიალ ჯორჯაძის ხსენებას).



— დედა, შავი რომ გაცვია,
 მითხარ, ვის სტირ, გლოვობ ვისა?
 — მოკვდა ერის მოამაგე,
 ჩაჰქრა სხივი დიად მზისა!

— მითხარ, ცრემლთა ეგ მდინარე
 ჩვენ წალეკვას რად გვიქადის?
 — ეჰ! ეგ, შვილო, მიტომ ხდება,
 რომ ჩვენი მზე უკვე ჩაღის!

— ზარებს რეკენ, ნეტავ რისთვის?
 რისთვის რეკენ, ნეტავ, ზარებს?
 — ეს ზარები არ გეგონოს,
 ხალხის მოთქმის ხმა ზანზარებს!

ერი სტირის. მისი ცრემლი
 გადაიქცა დიდ მდინარეთ, —
 და მეც ვსტირი ძვირფას არჩილს,
 ხალხთან ერთად ვსტირი მწარეთ!

ლადო გეგეჭკორი.

ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომა ალვა ელისონი).



(შემდეგა)

რ გასულა მას აქეთ დიდი ხანი, რომ ელისონს ერთი საძაგელი საქმე დაე-მართა, სიკვდილს ძლივს ვადურჩა.

ერთხელ, დილა აღრიანათ, აკიდებული წიგნებით ტელეგრაფის სადგურიდან სახლში ბრუნდებოდა. გა-

დამეტებით ერთგულმა პოლიციელმა დაინახა თუ არა ბარგით აკიდებული კაცი, ეგონა ქურდია და ნაქურდალით მიეჩქარება სახლშიო და დაუყვირა: შედეგი! ელისონს ყურთ მძიმეთ ესმოდა, ვერ გა-

იგო მისი შეძახება და ისევ თავის გზას განაგრძობდა. განრისხებულმა პოლიციელმა თოფი ესროლა. ბედზე ტყვიამ ყმაწვილ კაცს გვერდზე გაურბინა. ელისონი გაკვირვებით გაჩერდა, რომ შეეტყო რაშია საქმე. მაშინ პოლიციელმა ნახა, რომ ის, ვინც ქურდი ეგონა, იყო მთელ ქალაქში ცნობილი ტელეგრაფისტი. შეშინებული მოხელე მივარდა ელისონს ბოდის მოსახდელათ.

ამ ხელათ საქმე კეთილათ დაბოლოვდა, მაგრამ ყმაწვილს ეხლა სხვა უბედურება მოელოდა. მისმა სხვა და სხვა გამოკვლევების სურვილმა ის ისე აიყოლია, გაიტაცა, რომ ხეირი არ დაეყრებოდა. ტელეგრაფის სადგურზე სასტიკათ აკრძა-

ლული იყო მიჰკარებოდა ვინმე ელექტრონის მანქანებს და ჭურჭლებში ნამყოფ სხვა და სხვა სიმჟავეებს. არც ჭურჭლის დაძვრა ადგილიდან შეიძლებოდა. ერთხელ, ღამე ედისონს მოუწინა თავის გამოკვლევებისთვის ვაგირდის სიმჟავე. მის სამუშაო ოთახში რომ სიმჟავე იყო მან იხმარა და მისი ერთი წვეთი იატაკზე დაეცა. ეს სიმჟავის წვეთი იატაკიდან ქვემოთ ჩავიდა სადგურის უფროსის ოთახში, სწორეთ მის მაგიდას დაეცა და საჭირო ქაღალდები გაუფუჭა.

უფროსმა მეორე დილას მოიხმო ედისონი, მსწრაფლ სამსახურიდან დაითხოვა და შემდეგი სიტყვები უთხრა: მე მინდა მყვანდეს მოხელე ტელეგრაფისტი და არა იმისთანა კაცი, რომელიც უსიამოვნებას მაყენებს სხვა და სხვა გამოკვლევების მოხდენით.

ედისონმა ბედზე მაშინვე ადგილი იშოვნა ცინცინატის რკინის გზის სადგურზე, მაგრამ არც აქ დაჰყო დიდხანს. ერთხელ, შუა დღისას, შევიდა მანქანის დებოში და ძალიან მოუწინა და გასეირნება. ამაზე არც ბევრი უფიქრია, მაშინვე ორთქლის მანქანით მოჰყვა სეირნობას. შემანქანე რომ დაბრუნდა დებოში და ნახა თავისი მანქანა, რომელსაც ვიღაც უჩვევი ხელი ატარებდა—ჯერ მოჰყვა სიცილს, მერე პანდურის კვრით ვააგლო იქიდან. მაგრამ ტელეგრაფის უფროსმა ამისთანა თავხედობა არ მოუთმინა და სამსახურიდან დაითხოვა.

ის ახლაც ადვილათ დაბინავდა თავის დედა ქალაქში, პორტ-გურონში.

მან თავის დედა-ქალაქში წელიწად ნახევარი დაჰყო და აქ ყოფნაში ისეთი საშუალება გამოიგონა, რომლითაც ერთი ვადაცემით ორნაირ ტელეგრამას გადასცემდა.

ამ გამოგონებით ისარგებლეს მხოლოდ იმ ტელეგრაფის აგენტებმა, სადაც ედისონი მუშაობდა და ყმაწვილს მადლობა იმითი გადუხადეს, რომ უფასო ბილეთი უთავაზეს ბოსტონში წასასვლელათ. მან იქ მიიღო ადგილი ფრანკლინის სახელობით გამართულ ტელეგრაფის სადგურზე.

ედისონი მაშინ 21 წლისა იყო, ის სულაც არ აპირებდა მხოლოდ ტელეგრაფისტობას, მას თავში ათასგვარი აზრები უტრიალებდა, და შორს, შორს მიილტვოდა.

ოთხი დღის მოგზაურობის შემდეგ, როდესაც ყმაწვილი-

შევიდა ქალაქ ბოსტონში და მივიდა ტელეგრაფის სადგურზე სამუშაოს საშოვნელათ, ძალიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი ძველი ტანისამოსი არაფრათ მოეწონათ კობტათ ჩაცმულ ბოსტონის ტელეგრაფისტებს.

თუმცა უფროსმა უკმეხათ გადახედა ყმაწვილს, მაინც დაუბარა: მოდი რამდენიმე საათის შემდეგ, სამუშაოთ გამოგცდიო.

იქ მისვლის დრო რომ დადგა, ედისონმა კანტორაში გულის ფანქვალით შედგა ფეხი. ტელეგრაფისტებმა ადრევე პირობა შეჰკრეს, რომ შორიდან მოსული ჩერჩეტი ყმაწვილი მასხარათ აეგდოთ. მათ მაშინვე აცნობეს ნიუიორკის ტელეგრაფისტებს განძრახვა და გადასწყვიტეს, რომ იქიდან მათთი გამოცდილი და მარჯვე ტელეგრაფისტი გამოგზავნის ბოსტონში უდიდეს გრძელ ტელეგრაფს და მის მისაღებათ კი მიუყენებდნ ამ ახალ-მოსულ ყმაწვილს.

აგრეც მოიქცენ.

ედისონმა არაფერი ეჭვი არ აიღო და მიუჯდა მაგიდას სამუშაოთ. ნიუიორკის ტელეგრაფისტმა ჯერ ნელა-ნელა დაიწყო სიტყვების გადმოცემა, მერე თან და თან ააჩქარა და ბოლოს ერთ წამში 40 სიტყვას გზავნიდა. ედისონს არ ეუცხოვა ამისთანა სისწრაფე, რადგან მისთვის არაფერი იყო ერთ წამში 45 სიტყვის მიღებაც. უცბათ მან მიიხედა თავის ახალ ამხანაგებისკენ და ნახა, რომ ისინი ცნობის მოყვარეობით შესტკერიან და ჩუმ-ჩუმათ იცინიან.

ედისონი მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერიყო. მან დამშვიდებით განაგრძო თავისი საქმე, არც კი ამჩნევინებდა, რომ ჩქარობს. ნიუიორკის ტელეგრაფისტი დიდი სისწრაფით, შეუხსვენებლივ გზავნიდა დეპეშას, მაგრამ ედისონი უკან არ ჩამორჩენია. მაშინ ნიუიორკელმა სხვა ხერხს მიმართა. ის რამდენიმე სიტყვას აერთებდა, შეამოკლებდა, მაგრამ ედისონი ამისთანა მუშაობასაც დაჩვეული იყო, როდესაც გაზეთებისთვის გადმოცემდნ დეპეშებს—და დინჯათ უძღვებოდა ამ საქმეს.

ბოლოს მობეზრდა ხუმრობა და შესძახა:

„მომითმინეთ, ამხანაგო! მგონი, ცოტა ხნობით დასვენება გესაქიროებათ“.

ნიუიორკის ტელეგრაფისტს შერცხვა და სხვას გადასცა სამუშაო.

ამ ამბავმა ედისონს სარგებლობა მოუტანა, რადგან ამხანაგების მხრივ პატივი დაიმსახურა, ყველა ცდილობდა დაახლოვებულიყო, დამეგობრებულიყო მასთან.

ახლა თითქოს ედისონს ბედმა გაუღიმა. დედ-მამის გარემოებაც უკეთესათ მოეწყო. მასაც ყველანი მეტ პატივსა სცემდნენ, თანაგრძნობას უწევდნენ და შემოსავალიც თან და თან ემატებოდა.

ყოველთვის შექმუხვნილი და გულ-ჩახვეული ყმაწვილი გამხიარულდა, წახალისდა, გულ-ახდილი გახდა. მისი მომხიბლავი ღიმილი ყველას იზიდავდა მისკენ. აქამდის გამოჯრკვეველმა მისმა მისწრაფებამ—ახლა მიიღო გარკვეული სახე, ფორმა.

პირველი მისი გამოგონება, ბოსტონში ყოფნის დროს, იყო ტელეგრაფის შემწეობით ხმების დათვლა. ედისონმა შეამჩნია, რომ ამერიკის პარლამენტში დიდ-ძალი დრო იკარგება ხმების დათვლაზე და მან შემდეგი მანქანა გამოიგონა:

ყოველ დებუტატის სავარძელზე ორი კნოპკა უნდა ყოფილიყო. ერთი ნიშნავდა სიტყვას „ხო“ და მეორე „არა“. როგორც კი დებუტატი დააჭერდა ერთ-ერთ კნოპკას, მაშინვე ელექტრონის მანქანის რიცხვ-დამთვლელი, რომელიც კნოპკებთან იყო შეერთებული, აღნიშნავდა საარჩევნო ხმებს.

ედისონს გულწრფელათ ეგონა, რომ მისი გამოგონება ყველა დებუტატს აღტაცებაში მოიყვანდა. მან დახარჯა დიდ-ძალი ფული და 1896 წელს აიღო კიდევ უფლება გამოგონებისა—პატენტი.

ედისონი გაემგზავრა ვაშინგტონში, სადაც პარლამენტის კრებები მოხდებოდა ხოლმე, ნახა კონგრესის თავმჯდომარე და აუწერა თავის გამოგონება.

თავმჯდომარემ გაიღიმა.

— ძალიან საყურადღებო რამ მოგიგონიათ, მეტათ საყურადღებო.

ედისონმა ჰკითხა: იმედი ვიქონიო, რომ პარლამენტი შეიძენს ამ მანქანას?

თავმჯდომარემ ხელ ახლათ გაიღიმა ყმაწვილის ამისთანა გულ-უბრყვილობაზე.

— არა, იმედი ნუ გექნებათ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენი გამოგონილი მანქანა მარტივია, სულ უბრალოა, განა მთელი პოლიტიკა დამყარებულია, „ხო“ თუ „არაზე“?.

— ხმების დათვლაზე, ხომ დრო აღარ დაიკარგება?

— მართალია, მაგრამ რაში გვეჭირვება დროს დაუკარგებლობა! პოლიტიკა არის ცბიერობა, ხერხი, ხელოვნური საქციელი და ამიტომ თქვენი მანქანა ჩვენთვის გამოსაყენი არ არის. მისი საშვალებით ხმების მოკრეფა თვალსაჩინოა, ძალიან ადვილია. პოლიტიკაში კი საჭიროა გაურკვეველობა, დაუდგრომლობა, დაუმთავრებლობა. პოლიტიკას სჩვევია ერთ და იგივე დროს „ხო“-ც და „არა“-ც და თქვენი მანქანა მეტათ მარტივია, ვერ მისცემს შესაფერ საშუალებას პოლიტიკური ცბიერების გამოსაჩენათ.

ასეთი იყო ამერიკელი პარლამენტის თავმჯდომარის პასუხი, მას ეგონა, რომ ხერხით და ცბიერებით შეიძლება ხალხის ხელმძღვანელობა. ედისონმა ამ სიტყვების შემდეგ ისეთი ზიზღი იგრძნო პოლიტიკის შესახებ, რომ, თუმცა დიდი ფული დაეხარჯა ამ მანქანის გაკეთებაზე და მის გასავრცელებლათ ნების აღებაზე, — გადასწყვიტა პარლამენტისთვის აღარ მიემართნა.

დაბრუნდა თუ არა ყმაწვილი ბოსტონში, თავისთვის მან საკუთარი პატარა ლაბორატორია გაიმართა, სადაც სხვა და სხვა გამოცდებს ახდენდა და ელექტრონის მანქანებს აკეთებდა.

მას უკვეთამდენ საქმეებს კერძო პირებიც და ორ ადგილას კიდევ გაიყვანა ისეთი მოწყობილი ტელეგრაფი, რომ ამ ხელობის უცოდინარსაც კი შეეძლო საქმეს გასძლოლოდა. მაგრამ მისი ყურადღება მიქცეული იყო მეტათ ორ გამოგონებაზე.

ერთი გამოგონება ეხებოდა ელექტრონის საბეჭდავ მანქანას, რომელიც სწრაფლათ აჩვენებდა ბაზრის ფასების აწევდაწევას. მან რამდენიმე ამ გვარი მანქანა გააკეთა და გაჰყიდა, მაგრამ საყოველთაოთ არ იყო შემოდებული. მეორე გამოგონება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ის იყო, რომ ერთ და იმავე დროს, ერთი ტელეგრაფის მასალით იგ-

ზავნებოდა რამოდენიმე დეპეშა. ამ გვარი გამოგონება ფულის მხრივ დიდი სასარგებლო იყო ტელეგრაფის პატრონისთვის, რადგან მასალაზე ყაირათს სწევდენ.

1869 წლის დასაწყისში, ედისონმა სცადა ერთ და იგივე დროს, ერთ მართულზე ორი დეპეშა გაეგზავნა. გამოცდამ კარგათ არ ჩაუარა, მაგრამ დაწმუნდა, რომ ის ნამდვილათ ბოლოს მიზანს მიაღწევდა, ამისთვის საჭირო იყო გამოცდა ბოსტონში კი არ მოეხდინა, არამედ უფრო დიდ ქალაქში და მან გადასწყვიტა ნიუიორკში წასულიყო.

ბოსტონში მან დაპყო წელიწად ნახევარი და ყველაფერი მისდა საბედნიეროთ მოეწყო. ამხანაგები გაკვირვებულნი იყვენ მისი დაუღალავი, მუყაითი შრომით და მდიდარი ფანტაზიით.

ედისონი ცხოვრობდა ერთ ამხანაგთან ადამსონთან და ის მოგვითხრობს შემდეგს: „ედისონი რომ დილის სამ-ოთხს საათზე დამის სამუშაოდან ბრუნდებოდა, მაშინვე მოუჯდებოდა მაგიდას, კითხულობდა წიგნებს და დილამდის მუშაობდა. ვსადილობდით ორივენი ამხანაგები ერთათ ისეთ რესტორანში, რომელიც ჩვენგან ორი ვერსის სიშორეზე იმყოფებოდა. გზაში ედისონი სულ ფიქრში და სხვა და სხვა მოსაზრებაში იყო. ერთხელ, სასადილოთ რომ მივდიოდით, მან უცბათ შემომყვირა:

— ადამსონ, რამდენი რამეა გასაკეთებელი, სოცოცხლე კი ასე მოკლე ყოფილა! არა, არ შემძლიან ასე ნელა სიარული.

სირბილით მივიდა სასადილოში. საჩქაროთ პური სჭამა და ისევ სწრაფლათ დაბრუნდა სახლში სამუშაოთ“.

ადამსონი და ედისონი დიდი მეგობრები იყვენ და როდესაც ერთ დროს ადამსონს სამუშაო არა ჰქონდა—ედისონი ბინასაც და ფულსაც აძლევდა და ისეთი ხერხით და სიყვარულით ექცეოდა, რომ ადამსონს ვერ დაევიწყნა ის დრო.

ბოსტონში ედისონმა არა ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ ელექტრონის ძალა ცხოვრებაში შეიძლება ყოველგვარათ, თუნდ უბრალო საქმეში, გამოიყენონ.

ტელეგრაფის სადგურზე, მაგალითათ, დიდძალი ბალონიჯოები იყო (კედლისტილა) და მოხელეებს სოცოცხლეს უმწარებდენ. ყოველ გვარი საშუალება იხმარეს ამ შეუპოვრების


გასაძეგებლათ, მაგრამ ვერას გახდენ. საშინელი სისწრაფით მრავლდებოდენ და ბოლოს ტელეგრაფისტებმა აღარ იცოდენ რა ექნათ. მაშინ ედისონმა სცადა ელექტრონის ძალით მათი გაწყვეტა.

მან ზიაკრა კედელს კალას ორი ნაჭერი, შეუერთა ელექტრონის ზანქანას, ზედ კალაზე საჭმელი დაალოგა და როგორც კი მწერები მიესივნენ საჭმელს, ელექტრონის ძალა მიუშვეს და მკვდარი ბაღლინჯოები ერთიანთ იატაკზე ჩამოცვივდენ. .

მაგრამ ამისთანა გამოცდები და გამოგონებები რასაკვირველია არ აკმაყოფილებდენ ედისონს. ბოსტონის ტელეგრაფის სადგურზე ის თავს მეტად შევიწროვებულათ გრძნობდა და როდესაც ხელ ახლათ სცადა ერთ და იგივე დროს ორი დებეშის ერთად გაგზავნა და ვერას გახდა, მაშინვე მან შეჰკრა თავისი ბარგი და წავიდა დიდებულ და განთქმულ ბრწყინვალე ქალაქს ნიუიორკში, სადაც დიდი ხანია მიესწრაფებოდა.

(შემდეგი აქნება).





სხვა და სხვა აძბები



როხელ ეზოპის ბატონი მიწვეული იყო თავის მეგობართან მდიდარ მემამულესთან, რომელიც ზღვის პირათ ცხოვრობდა. ბატონმა ეზოპი თან წაიყვანა... გაიმართა დიდი ნადიმი „სმა-ჭამა დიდათ შესარგი“. სადღეგრძელოები და სიმღერა-სიმხიარულო. ტოლუმბაშმა დაიძახა:

„გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც ამ ზღვას დააგუბებსო!“

— რა დიდი საკმეა? წამოიძახა შექეიფიანებულმა ეზოპის ბატონმა, — სანაძლეო რა მოდის, რომ დავაგუბო?!

— მთელ ჩემს შეძლება-ქონებასა ვსდებ, თუ შენ ზღვას დააგუბებო! — უთხრა მეგობარმა ეზოპის ბატონს.

დასდეს სამი დღე ვადა. დაიშალა ნადიმი. სახლში რომ დაბრუნდენ, ეზოპმა შეატყო მეორე-მესამე დღეს, რომ მისი ბატონი ძალიან შეფაქრიანებული, დაღონებული დადიოდა:

— რას ფიქრობ, ბატონო? — შეეკითხა ეზოპი.

— იმას, ჩემო ერთგულო, რომ ხვალ სანაძლეოს ვაგებ და მთელი ჩემი ქონებიდან ხელო უნდა ავიღო! — უთხრა ბატონმა.

— ნუ სწუხარ, ბატონო! — დააიმედა ეზოპმა — ბევრჯელ დამიხსნიხარ მაგისთანა ვაჭირვებისაგან და კიდევაც დაგიხსნი!

— როგორ?! — შეეკითხა სიხარულით აღფრთოვანებული ბატონი.

— აი ასე: იმ ზღვის მიდამოები თქვენ, რასაკვირველია არ დაათვალიერეთ. წამოგცდათ, თორე ზღვის დაგუბება ვის გაუგია?! იმ ზღვას ორ მხრიდან მდინარენი ერთვის და ერთ მხრიდან გამოდის. თქვენ მეგობარს უთხარით ხვალ:

„შენ, ეგ ორი მდინარე იქით გადაუგდე სადმე ისე, რომ ზღვას აღარ ერთვოდეს, მაშინ მე ზღვას დავაგლებთქო“. თუ ის ორი მდინარე გადაუგდო სადმე, მაშინ, რომელი მდინარეც ზღვიდან გამოდის, ის თავისთავათ შეწყდება და ზღვა ხომ თავისთავათ დაგუბებულა! მაშინ მოიგებ სანაძლეოს!

ბატონმა ეზოპის წინადადებით სანაძლეო მოიგო...

მ. ლელაშვილი.



აღდადის ხალიფის ძმამ, მართალმა და ბრძენმა მერვანმა დიდებული სასახლე ააშენებინა, გარს უშველებელი ბაღი შემოავლო. აუზები გააკეთებინა, სადაც მთიდან მშვენიერი წყაროები მოჩანჩქარებდნენ. ნამდვილი ქვეყნიური სამოთხე იყო. როცა ყველაფერი დაასრულა მერვანმა, კარგზედ ასეთი წარწერა გააკეთებინა:

„ღვთის მსახურმა მერვანმა ააშენა ეს სასახლე და იმას მისცემს, ვინც სრული ბედნიერი აღმოჩნდება“.

გააკეთეს თუ არა ეს წარწერა, ერთი კაცი გამოცხადდა და უთხრა:

— ბატონო, გიახელი და დაპირების აღსრულებასა გთხოვ: შენი სასახლე მე მეკუთვნის.

— როგორ, მეგობარო, განა სრული ბედნიერი ხარ?

— დიად, ბედნიერი ვარ, მეფევ! ჩემი საქმე საბედნიეროთ მოწყობილია; ცოლი კეთილი და გონიერი მყავს, შვილები კარგები და ჯანსაღები, უკეთესი არც კი მოინახება. მე თითონ არა მტკივა რა, ჩემი თავი ბედნიერათ მიმჩნია, რამდენადაც კი შეიძლება, და საჯაროთ ვაცხადებ კიდევ.

— სცდები, მეგობარო, — უთხრა მერვანმა, — შენ რომ სრული ბედნიერი ჰყოფილიყავ, როგორც ამბობ, ნამდვილი ბედნიერი რომ ჰყოფილიყავ, არას მოიწადინებდი, არც ჩემს სასახლეს და არც სხვა რასმეს.

ბრძენს მერვანს თავისი თანამემამულეების გამოცდა უნდოდა.

(ფრანგულიდან)

არ-ვინ.

გამჭრიახი ცხენები.

ჭირველათ, ამ ათიოდე წლის წინეთ, ჟურნალ-გაზეთებში ისეთი ცნობები იყო მოაახსენებელი ცხენების გამჭრიახობაზე, რომ სწორეთ ყველა გააკვირა. დიდ განცვიფრებაში მოჰყავდა სწავლელებიც კი, რომელნიც ხედავდნენ გაწოთვნილ ცხენებს. მათ იცოდნენ ანგარიში, სიტყვების შედგენა და სხვა...

ცხენების ჰკუა გონების შესწავლა და გამოკვლევა პირველათ დაიწყო მოხუცმა პედაგოგმა ფონ-ოსტენმა. მან ცხენით სეირნობის დროს მიაქცია ყურადღება თავის ცხენის მოსაზრებას და მიხვედრას.

ოსტენს აზრათ მოუვიდა ესწავლა ცხენისათვის „მარჯვენა და მარცხენა“-ს გარჩევა და სულ უბრალოთ შეუდგა სწავლას. მარჯვენა მხარეს დაუდგებოდა. სტაფილოს დაუჭერდა და რამდენჯერმე გაუმეორებდა: ეს მარჯვენაა. მერე მარცხენა მხარეს ამოუდგებოდა და ეტყოდა ისევ რამდენჯერმე: ეს მარცხენაა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ცხენი მშვენიერათ არჩევდა მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ამის შემდეგ ოსტენი შეუდგა რიცხვების სწავლებას. მალე იმისმა „განსმა“ (ასე ერქვა ცხენს) ესეც შეისწავლა. როდესაც განსს, მასწავლებლის კითხვაზე რამე რიცხვი უნდა ეპასუხნა, ის იმდენჯერ დაარტყამდა მიწას ფეხს.

როდესაც მოხუცი ოსტენი მოკვდა, სიკვდილის წინეთ თავისი განსი ჩააბარა ერთ განთქმულ ცხენების მწურთენელს კრალს, რომელიც გულ-მოღვინეთ და გატაცებით განაგრძობდა ოსტენის საქმეს.

ახლა კრალს თავის საკუთარ მამულში აქვს გამართული ცხენების სკოლა და ჰყავს შვიდი მოწაფე ცხენი. იმათში ყველაზე უფროსი ოსტენის ცხენია, 16 წლის „განსი“.

კრალის მოწაფე ცხენები საკვირველ გამჭრიახობას და მიხვედრილობას იჩენენ. ისინი დაფაზე დაწერილ ოთხ მოქმედებიან ამოცანებს აკეთებენ, საათის შეტყობა იკიან, კალენდარზე არჩევენ წელს, თვეს და დღეს და ყველა ამას ფეხის დარტყმევით აცნობებენ. კრალის მოწაფე ცხენებს ეგზამენები გაუკეთეს პარიზის, ჟენევის და სხვა ქალაქების პროფესორებმა და ყველანი დიდათ კმაყოფილნი დარჩნენ.





გ ა მ ო ც ა ნ ა .

(მამიდა ფეფესაგან გაგონილი)

ერთი დედა გვზდის შვილებსა,
დაგვზდის და თითონვე დაგვჭამს,
დაგვიკრაჭუნებს კბილებსა.

ზამთრით დადგმული კარავი,
ზაფხულით მშვენნიერია,
თავსა ასხია ეკალი,
გასცვავა ბროწეულია.

ოდეს ორბი დაუძღურდეს, ამ სოფელსა აღარ იყვეს,
იგი შეიჯდეს ხმელსა ხესა, იმის ლხენა აღარ იყვეს, ვინც ამას
არ გამოიცნობს, ძროხაა და ძროხა იყვეს.

ა მ ო ც ა ნ ა .

პატარა მოწაფე შევიდა დუქანში და სთხოვა ვაჭარს:

— ნახევარი გირვანქა შაქარი, გირვანქა 16 კაპეიკიანი,
ნახევარ გირვანქა კარაქი, გირვანქა 60 კაპეიკიანი. ნახევარი
გირვანქა ყველი, გირვანქა მანეთ ნახევრიანი და ნახევარი
გირვანქა ყავა, გირვანქა 70 კ., ყველა ამაში, რომ თუმანი
მოგცეთ, რას დამიბრუნებთ ხურდას.

— 8 მანეთს და 52 კ. უპასუხა ვაჭარმა, რომელსაც
ქალაქდღზე ნაანგარიშევი ჰქონდა.

— თუ შეიძლება, ეგ დაწერილი ანგარიში მე მომეცით,
რვეულში უნდა გადავიწერო, რადგან ეს ამოცანა ხვალის-
თვის მოგცევს გასაკეთებლათ. სავაჭრო კი მე არა მჭირდება.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

წლის წიგნის გამბ.

ირველივ ატირდა ქვეყანა,
 გაისმა გლოვის ზარია,
 ოჰ! თუ რა მოხდა მისთანა,
 გმინვა, რომ ისმის მწარია?..
 ერს მოაშორა დიდება!
 ბუნება რალამ არია?!
 ამინდი ცუდი დაგვიდგა,
 შავით მოსილა ჯარია!..
 ვერ ვიტყვი მისსა სიკვდილსა,
 იგი არ არის მკვდარია!
 ლოცვით ჩავმარხეთ ჩვენს გულში,
 ის ქვეყნის კელეპტარია!..

მოსწრებული სიტყვა.

ერთხელ მეფე ერეკლემ უთხრა თავის მასხარებს, ვინც მე სამჯერ იგავით მეტყვის „ქოსა“-ს, იმას კარგ საჩუქარს მივცემო. წამოდგა ერთი მასხარათავანი და მოახსენა: ეს რა საკვირველი ვნახე: იხვი მოსდევს დაბლა ქორსა, ერთი კაცი თავგსა სჭამდა, თან ატანდა თამბაქოსა, ერთი კაცი ხბოს წყალს ასმევს ურქოსა და უჩლიქოსა.

